დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
"შპს შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში"

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

1. ნინო წერეთელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ნანა ჩავლეიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	"შპს შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405842227

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N30
საფოსტო ინდექსი	0144
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.sist.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@sist.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 00 11 44

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000591817, 19.05.2026 - ცვლილება MES 8 26 0000644704, 29.05.2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026, 13-14 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	**ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. N30, 1 შენობა.**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის 19 მაისის **MES 4 26 0000591817** (**ცვლილება MES 8 26 0000644704, 29.05.2026)** ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები - ნინო წერეთელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); ნანა ჩავლეიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) - დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება - **“შპს შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში”** (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ს/კ: **405842227**).

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, 2026 წლის, 13-14 ივლისს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. შეხვედრამ პოზიტიურ, კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა, ექსპერტებმა მასწავლებლებს მისცეს საქმიანი, კონსტრუქციული უკუკავშირი, ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტისგან მიიღეს რჩევა კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტსა და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში დაწესებულება მითითებული იყო სახელწოდებით შპს „შვეიცარიული სკოლა თბილისში“. შეფასების პროცესში სკოლამ განმარტა, რომ შეიცვალა იურიდიული პირის სახელწოდება და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა შესაბამისი წერილით აღნიშნული გარემოების ასახვის მიზნით. სკოლამ ასევე წარმოადგინა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი **და** მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რომლებითაც დასტურდება, რომ დაწესებულების ოფიციალური სახელწოდებაა შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“, ხოლო საიდენტიფიკაციო კოდი 405842227 უცვლელია. აღნიშნული ადასტურებს, რომ ადგილი აქვს მხოლოდ იურიდიული პირის სახელწოდების ცვლილებას და არა ახალი იურიდიული პირის რეგისტრაციას. შესაბამისად, შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღნიშნული გარემოება დაზუსტდა და სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდა საჯარო რეესტრის მონაცემებთან.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახლად დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესში შეფასება ეფუძნება ავტორიზაციის მოქმედი დებულებითა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულ პრინციპებს. აღნიშნული მიდგომის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს არა დაწესებულების პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც მისი საქმიანობის არდაწყების გამო ობიექტურად ვერ იარსებებს, არამედ იმას, რამდენად არის შექმნილი და სამართლებრივად გამართული ის ინსტიტუციური საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებას. შეფასების საგანს წარმოადგენს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, პროცედურებისა და მართვის სისტემების სისრულე, თანმიმდევრულობა და მათი პრაქტიკაში დანერგვის მზაობა.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ შეფასების განხორციელების ეტაპზე დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობა ჯერ არ ჰქონდა დაწყებული და მის განხორციელებას მხოლოდ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში გეგმავს, ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება წარმართა დაწესებულების მიერ შექმნილი სამართლებრივი, ინსტიტუციური და პროცედურული მექანიზმების საკმარისობისა და მათი ეფექტიანი ამოქმედების მზაობის შეფასებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 138	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	**უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**	• სკოლამ უზრუნველყოს **2026 წლის 15 სექტემბრამდე** მიმართოს უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებას (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად და ოფიციალური დასკვნის მისაღებად. • სკოლამ უზრუნველყოს ვიდეოტექნიკის დამონტაჟდება, შესაბამისი სივრცის მოწყობა და მისი სისტემური ამოქმედება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში არაუგვიანეს 2026 წლის 30 აგვისტომდე.
ინდიკატორი N3.4.1.3.	**სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**	სკოლის მიერ უზრუნველყოფილ იქნას „დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმება, მისი საბოლოო დამტკიცება განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის აგვისტო) და აღნიშნული მექანიზმების სრული ამოქმედება.
ინდიკატორი N3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების სრულყოფილად და დადგენილ ვადაში განხორციელება, მათ შორის ლიფტის მონტაჟისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის დასრულება, რათა შენობის ყველა სართულზე უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო, თანაბარი და შეუფერხებელი ფიზიკური ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის, მოქმედი კანონმდებლობისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

	(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.2.1.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სამოქმედო გეგმის რესურსების გრაფაში უმეტეს შემთხვევაში მითითებულია მხოლოდ ჩანაწერი - „არსებული რესურსი“, რაც არ იძლევა კონკრეტული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას. **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია რესურსები დაკონკრეტდეს და გაიმიჯნოს ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებად, რაც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის უფრო ეფექტიან დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას.**
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში საოპერაციო გუნდის (დაცვა, ექიმი, IT, სამეურნეო ნაწილი) ვერტიკალური და არა ჰორიზონტალური განლაგება გრაფიკულად ქმნის შეცდომით შთაბეჭდილებას, რომ ისინი ერთმანეთის უშუალო იერარქიულ დაქვემდებარებაში არიან (მაგალითად, თითქოს ექიმი ექვემდებარება დაცვის ოფიცერს, ხოლო IT მენეჯერი - მატერიალურ-ტექნიკურ კოორდინატორს). **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: აღნიშნული ვიზუალური ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, სასურველია გრაფიკულად დაკორექტირდეს მართვის სქემის (ორგანოგრამის) ქვედა ნაწილი: ნაცვლად ერთიანი ვერტიკალური სვეტისა, საოპერაციო გუნდის ეს წევრები (დაცვა, ექიმი, კოორდინატორი, IT) განთავსდნენ ჰორიზონტალურ პარალელზე, სადაც თითოეული მათგანის ბლოკი ცალკეული, დამოუკიდებელი ისრით დაუკავშირდება მათი ერთიანი ხელმძღვანელის - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გრაფას. ეს ცვლილება სქემას შესძენს სრულ**

		საგნობრივ სიზუსტეს და თვალსაჩინოს გახდის, რომ ისინი თანაბარმნიშვნელოვანი საოპერაციო რგოლები არიან.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**სახელმწიფო ენა** ურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სამიზნე ცნებების მითითებისას არ ჩანს კონკრეტულად რაზე იმუშავებს მასწავლებელი ან რა შედეგზე გავა, ამიტომ სასურველია თუ ეს საკითხი მოწესრიგდება. ვინაიდან, სკოლა ახლა იწყებს ფუნქციონირებას, კათედრა შეეცადა გაეთვალისწინებინა მომავალ მოსწავლეთა ზოგადი ინტერესები, შესაძლებლობები, ცოდნა, საჭიროებები, ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას, დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. **რჩევა: სასურველია, სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოებში უფრო მეტად მოწესრიგდეს და დაიხვეწოს სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მითითების საკითხები.**
ინდიკატორი N2. 1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**უცხოური ენები** უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული , ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად . წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. **რჩევა: თუმცა შერჩეულ შემოქმედებით დავალებების პირობებში ჩანს, თუ რომელ სამიზნე ცნების/ქვეცნებისკენ მიემართება ესა თუ ის დავალება, სასურველია,**

		ზოგი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში შესაბამის სვეტში აისახოს შესაბამისი ცნებები, ქვეცნებები , საკითხები. (მაგ, ინგლისური, V, VI კლასები). **ესთეტიკური აღზრდა** კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები,დასამუშავებელი საკითხები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. **რჩევა: სასურველია საგან ხელოვნების კურიკულუმში შერჩული თემები გაიწეროს თემატური ბლოკების ფარგლებში,რაც უკეთ წარმოაჩენს შერჩეული სასწავლო თემების ესგ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებას.** **მათემატიკა** სკოლის მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებისკენ: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. თუმცა, თითოეული სამიზნე ცნება ჩასაშლელია ქვეცნებებად, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ სვლას. **რჩევა: სასურველია, თითოეული კლასისთვის შექმნილი კურიკულუმის ყოველი კომპონენტი, მათ შორის ქვეცნებები, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სრულად იყოს წარმოდგენილი.** **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შინაარსი, შემოქმედებითი პროდუქტები, საკითხები, ქვეცნებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა მნიშნელოვანია მკაფიოდ ჩანდეს კორელაცია, თემას , საკითხსა და სამიზნე ცნებებს შორის. **რჩევა: ვინაიდან მოცემული კურიკულუმები უნდა ეფუძნებოდეს საგნობრივ სტანდარტებს, გასათვალისწინებელია, სტანდარტზე დაფუძვნებით განისაზღვროს, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, ტექნიკურად შესაბამისობაში მოვიდეს**

		საკითები და ქვესაკითხები თემებთან და სამიზნე ცნებებთან, ასევე, სავალდებულო თემების ფარგლებში.
ინდიკატორი ***N2. 1.2.5.***	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**უცხოური ენები** უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ერთი თემის ფარგლებში გაწერილ შუალედურ მიზნებზე, ასევე ზოგადი რუბრიკები. ნათლად ჩანს, უცხოური ენების კათედრას აქვს მზაობა, განახორციელოს შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **რჩევა: თუმცა შერჩეულ შემოქმედებით დავალებების პირობებში ჩანს, თუ რომელ სამიზნე ცნებისკენ მიემართება ესა თუ ის დავალება, სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებშიც დასახელდეს შესაბამისი სამიზნე ცნებები.** **მათემატიკა** წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ცხრილები, სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუშები, თუმცა ეს შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა კონტექსტის მიხედვით (გამონაკლისების გარდა). მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე. **რჩევა: სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ისეა შედგენილი, რომ არ ჩანს, როგორ იყენებს მასწავლებელი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რუბრიკებს, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები. სასურველია, თითოეული თემისთვის შედგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილი იყოს მესამე თაობის ესგ-თი განსაზღვრული რუბრიკების შესაბამისად.** **სახელმწიფო ენა**

		სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა აპირებს გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, კათედრამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასების სისტემის დანერგვის თვალსაზრისით, აპირებენ, რომ გამოიყენონ სოლო ტაქსონომიიის პრინციპები მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის, რაც შემდგომში დაეხმარებათ მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვაში. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე რუბრიკა, მაგრამ ისინი ძირითადად აგებულია ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, აფასებს არა კონკრეტულ, არამედ ზოგადი ტიპის აქტივობებს. **რჩევა: სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში.**
ინდიკატორი N2. 2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**მათემატიკა** სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების ნიმუშები მრავალფეროვანია. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიც, თუმცა მათ აკლიათ მკაფიოობა და თემის შეფასების ესგ-თი განსაზღვრულობა. **რჩევა: სასურველია, მათემატიკის კათედრამ შექმნას შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა განსაზღვრული, რაც მათ მეტ აკადემიურობას შესძენს.**
ინდიკატორი N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**მათემატიკა** მათემატიკის კათედრა გეგმავს კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებას, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე, დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში. **რჩევა: სასურველია, კურიკულუმებში თემებისა და საკითხების შესაბამისად წაროდგენილი ბმულები საკითხის სახელწოდებით იყოს ჰიპერბმულებად ჩაშენებული, რაც საჭიროების შემთხვევაში გაამარტივებს მოცემული საკითხის შესაბამისი რელევანტური რესურსის პოვნას.**

ინდიკატორი N2. 2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **რჩევა: შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და შემოქმედებითი დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.**

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს „შვეიცარიული საერთასორისო სკოლა თბილისში“ **მისიაა** - შევქმნათ მზრუნველი და ინოვაციური საგანმანათლებლო გარემო, სადაც თითოეული მოსწავლე იძენს მყარ აკადემიურ საფუძველს, ივითარებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებს, არის დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მცოდნე და დამცველი. ჩვენი მიზანია, ქართული და შვეიცარიული საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკების დანერგვით ხელი შევუწყოთ ციფრული სწავლების პრაქტიკის დანერგვას, გავზარდოთ მოაზროვნე, ინტერკულტურული, თანაგრძნობით აღსავსე და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, რომლებიც მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში.

სკოლის ხედვაა - ჩვენი ხედვაა ვიყოთ განათლების ლიდერი, რომელიც გამოირჩევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებით, ტექნოლოგიური ინოვაციებით და ადგილობრივ და საერთაშორისო თემთან მჭიდრო კავშირით. ჩვენ გვსურს შევქმნათ ისეთი საგანმანათლებლო მოდელი, სადაც ბავშვების ცნობისმოყვარეობა, შემოქმედებითობა და ინდივიდუალური ნიჭი განვითარდება და სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა აღმოაჩინოს საკუთარი პოტენციალი და განავითაროს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისადმი პოზიტიური მიდგომა. სკოლა მიისწრაფვის გახდეს საგანმანათლებლო ინოვაციის ცენტრი, რომელიც ცვლის ტრადიციულ მიდგომებს და ქმნის მომავლის სკოლის მოდელს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სკოლის ხედვა მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- **გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება**
  საკლასო ოთახი პირობითი კომპონენტია. სწავლა ხდება არა მხოლოდ მერხთან, არამედ აქტიური გამოცდილებებით, კვლევით და აღმოჩენებით. ჩვენი მოსწავლეები იძიებენ რეალურ პრობლემებს, მუშაობენ პროექტებზე და თავად არიან საკუთარი სწავლის პროცესის მოქმედი პირები.
- **პერსონალიზებული სწავლება**
  სკოლაში არის საგანმანათლებლო გარემო, სადაც სწავლის გზა მორგებულია თითოეული მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. თანამედროვე ტექნოლოგიები და პედაგოგიური მიდგომები საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იმუშაონ საკუთარი ტემპით, განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები და დაძლიონ გამოწვევები.
- **ტექნოლოგიური ინოვაციები საგანმანათლებლო მიზნებისთვის**
  სკოლა იქნება ადგილი, სადაც მოსწავლეები ისწავლიან ციფრულ მოქალაქეობას და ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებას, რათა მოემზადონ მუდმივად ცვალებადი მომავლისთვის. სკოლაში სწავლის პროცესი წარიმართება ტექნოლოგიების ინტეგრირებით.
- **ინტერდისციპლინარული სწავლების პლატფორმა**
  სასწავლო პროგრამა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეებმა დაინახონ კავშირები მათემატიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას და სოციალურ მეცნიერებებს შორის. პროექტები და გამოკვლევები მოიცავს მრავალ დისციპლინას, რაც ხელს უწყობს კომპლექსურ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას.
- **გლობალური სასწავლო საზოგადოება**
  ციფრული ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო პარტნიორობების მეშვეობით ჩვენი მოსწავლეები დაუკავშირდებიან თანატოლებს მთელ მსოფლიოში, გაეცნობიან სხვადასხვა კულტურებს და პერსპექტივებს, რაც განავითარებს გლობალურ ცნობიერებას და კულტურულ კომპეტენციებს.
- **ემოციური ინტელექტისა და კეთილდღეობის ცენტრი**
  სკოლაში ემოციური და სოციალური სწავლება ისევე ფასეულია, როგორც აკადემიური მიღწევები. ჩვენი პროგრამები მიმართულია მოსწავლეების თვითშემეცნების, თვითრეგულაციის, ემპათიისა და ჯანსაღი ურთიერთობების უნარების განვითარებისკენ. ჩვენი სკოლა იქნება ადგილი, სადაც მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი და სხვების ემოციების გაგებასა და მართვას.
- **მასწავლებელთა ინოვაციური საზოგადოება**
  სკოლაში მასწავლებლები არიან ლიდერები, მკვლევარები და ინოვატორები. ჩვენი მასწავლებლები მუდმივად იკვლევენ ახალ იდეებს, თანამშრომლობენ კოლეგებთან და ქმნიან ინოვაციურ პედაგოგიურ პრაქტიკას. მასწავლებელთა ამ დინამიურ საზოგადოებას აქვს შემოქმედებითი თავისუფლება და რესურსები ახალი მიდგომების განვითარებისა და დანერგვისთვის.
- **თემთან ინტეგრირებული საგანმანათლებლო ჰაბი**

სკოლა არის არა იზოლირებული ინსტიტუცია, არამედ წარმოადგენს თემის ორგანულ ნაწილს. მოსწავლეები რეგულარულად უკავშირდებიან თემს პროექტებისთვის და სწავლობენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების (სსს) პროექტების მეშვეობით.

სკოლის ღირებულებებია

უწყვეტი განვითარება

ვაღიარებთ, რომ განათლება მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ასპექტს - ინტელექტუალურს, ფიზიკურს, ემოციურს, სოციალურს და სულიერს. ვალდებული ვართ, შევქმნათ კურიკულუმი და გარემო, რომელიც თანაბრად უწყობს ხელს ყველა ამ სფეროს განვითარებას. სკოლაში მიღებული გამოცდილება განიხილება როგორც შესაძლებლობა ზრდისთვის სწრაფად ცვლილებად სამყაროში.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება

ვახალისებთ ცნობისმოყვარეობას, კრიტიკულ აზროვნებას და ინტელექტუალურ გამბედაობას. ჩვენი პედაგოგები ქმნიან ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ დასვან მნიშვნელოვანი კითხვები, გაეცნონ კომპლექსურ იდეებს. ჩვენ ვაფასებთ პროცესს ისევე, როგორც შედეგს და ვაღიარებთ, რომ შეცდომები და გამოწვევები შეადგენენ სწავლის მნიშვნელოვან ნაწილს.

მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია

ვაღიარებთ, რომ სხვადასხვა გამოცდილება, პერსპექტივა და იდენტობა ამდიდრებს სწავლის პროცესს. ვალდებული ვართ შევქმნათ ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა მოსწავლე, განურჩევლად სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, კულტურული წარმომავლობის, უნარების, სწავლის სტილის თუ იდენტობის სხვა ასპექტებისა, იღებს მხარდაჭერას და აქვს წარმატების შესაძლებლობა.

თანამშრომლობა და საზოგადოება

მიგვაჩნია, რომ სწავლა არის სოციალური პროცესი და რომ ჯანსაღი ურთიერთობები აუცილებელია განათლებისთვის. ჩვენ ვახალისებთ თანამშრომლობას მოსწავლეებს შორის, მასწავლებლებს შორის და სკოლასა და ოჯახებს შორის. ვქმნით სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთისგან, იზიარებენ იდეებს და ავითარებენ სოციალურ უნარებს, რომლებიც მათ დასჭირდებათ ცხოვრებაში.

შემოქმედებითობა და ინოვაცია

ვაფასებთ შემოქმედებითობას და ვაღიარებთ, რომ ინოვაცია და გამოგონება წარმოადგენს XXI საუკუნის უმნიშვნელოვანეს უნარებს. მოსწავლეები წახალისებული არიან იფიქრონ, გამოხატონ საკუთარი თავი ხელოვნებისა და დიზაინის მეშვეობით, და მოიფიქრონ ორიგინალური გადაწყვეტილებები პრობლემებისთვის.

პასუხისმგებლობა

ვასწავლით მოსწავლეებს გააცნობიერონ თავიანთი ქმედებების შედეგები და განავითარონ პასუხისმგებლობის გრძნობა გარემოს, საზოგადოების და მომავალი თაობების მიმართ. კონკრეტული ქმედებებით ვასწავლით მოსწავლეებს პლანეტაზე ზრუნვას. მნიშვნელოვანია, აღვზარდოთ მოქალაქეები, რომლებიც დაფიქრდებიან თავიანთი ქმედებების შესახებ ეკოლოგიური თვალსაზრისით.

კეთილსინდისიერება და ეთიკა

ვახალისებთ ურთიერთობაში კეთილსინდისიერებასა და ეთიკურ ქცევას. მოსწავლეებს ვასწავლით იყვნენ გულწრფელნი, საიმედონი და ეთიკურები. სიმართლეს და ღირსებას ვაფასებთ როგორც ფუნდამენტურ ღირებულებებს და ვუდასტურებთ ამას პროფესიული პრაქტიკით. სკოლის პოლიტიკა ემყარება სამართლიანობის პრინციპებს.

ლიდერობა და მოქალაქეობა

ხელს ვუწყობთ ლიდერობის უნარების განვითარებას ყველა მოსწავლეში. ვასწავლით, რომ ჭეშმარიტი ლიდერობა არის ქმედება და რომ ყველას შეუძლია დადებითი ცვლილების მოტანა. მოსწავლეები სწავლობენ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, დემოკრატიულ პრინციპებს და აქტიურ მოქალაქეობას.

კეთილდღეობა და თვითზრუნვა

ვაღიარებთ, რომ ემოციური, მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობა არის საფუძველი ეფექტური სწავლისა და ბედნიერი ცხოვრებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს გარემოს, სადაც მოსწავლეები გრძნობენ თავს უსაფრთხოდ, როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად. ვუვითარებთ მოსწავლეებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა მაინდფულნესი, თვითრეგულაცია და ეფექტური კომუნიკაცია, რომლებიც აუცილებელია ჯანსაღი და დაბალანსებული ცხოვრებისთვის.

სწავლისადმი სიყვარული

შთავაგონებთ მოსწავლეებს სწავლისადმი სიყვარულს მთელი ცხოვრების მანძილზე. ვაფასებთ ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას და ცოდნისკენ მუდმივ სწრაფვას. ვქმნით ისეთ სასწავლო გარემოს, სადაც სწავლა არის სახალისო, მასტიმულირებელი და დამაკმაყოფილებელი - არა მხოლოდ საშუალება მიზნის მისაღწევად, არამედ თავად ღირებული მიზანი.

მისიის ხედვის, და რირებულებების შესაბამისობა ეროვნულ მიზნებთან

წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები არსებითად შეესაბამება **ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს** და ორიენტირებულია ისეთი მოქალაქის აღზრდაზე, რომელიც ფლობს XXI საუკუნისათვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს.

სკოლის მისია და ხედვა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს **მყარ აკადემიურ საფუძველზე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე, დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემაზე, პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდასა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის კულტურის ჩამოყალიბებაზე**, რაც სრულ თანხვედრაშია ეროვნული მიზნების ძირითად პრინციპებთან.

ამასთან, სკოლის ხედვით განსაზღვრული მიმართულებები - **პერსონალიზებული და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, ინტერდისციპლინარული მიდგომა, ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენება, გლობალური და ინტერკულტურული ცნობიერების განვითარება, ემოციური ინტელექტის მხარდაჭერა და თემთან აქტიური თანამშრომლობა** -ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო მიზნებით განსაზღვრული საკვანძო კომპეტენციების განვითარებას.

სკოლის ღირებულებები, როგორიცაა **თანასწორობა და ინკლუზია, თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, ლიდერობა, მოქალაქეობა, კეთილდღეობა, უწყვეტი განვითარება და სწავლისადმი სიყვარული**, სრულად ასახავს ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ ღირებულებით ჩარჩოს და ქმნის საფუძველს თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, ეთიკური, დემოკრატიული და კონკურენტუნარიანი მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის.

შეფასება: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები **მაღალი ხარისხით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**, არის თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებზე დაფუძნებული, მოსწავლეზე ორიენტირებული და უზრუნველყოფს როგორც აკადემიური მიღწევების, ისე პიროვნული, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი მისიის, ხედვისა და ღირებულებების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული საკუთარი როლი, როგორც **უსაფრთხო, ინკლუზიური, მოსწავლეზე ორიენტირებული და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი სოციო-კულტურული სივრცე**.

სკოლის მისია ორიენტირებულია მზრუნველი და ინოვაციური საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, სადაც თითოეული მოსწავლე იძენს მყარ აკადემიურ საფუძველს, ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, დემოკრატიულ ღირებულებებსა და პასუხისმგებლიანი მოქალაქისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. ხედვა ავითარებს ამ მიმართულებებს და სკოლას წარმოაჩენს როგორც მოსწავლეზე ორიენტირებულ, ტექნოლოგიურად განვითარებულ, ინოვაციურ და საერთაშორისო თანამშრომლობაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო სივრცეს, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი და ჩამოაყალიბოს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.

სკოლის ხედვით განსაზღვრული მიმართულებები - **გამოცდილებაზე დაფუძნებული და პერსონალიზებული სწავლება, ტექნოლოგიური ინოვაციების ინტეგრირება, ინტერდისციპლინარული სწავლება, გლობალური სასწავლო საზოგადოება, ემოციური ინტელექტისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და თემთან ინტეგრირებული თანამშრომლობა** - ქმნის უსაფრთხო, თანამშრომლობაზე დაფუძნებულ და მრავალფეროვანი განვითარების შესაძლებლობების მქონე საგანმანათლებლო გარემოს.

ამავე დროს, სკოლის ღირებულებები - **თანასწორობა და ინკლუზია, თანამშრომლობა, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა, ლიდერობა, მოქალაქეობა, კეთილდღეობა, შემოქმედებითობა, უწყვეტი განვითარება და სწავლისადმი სიყვარული** — უზრუნველყოფს ისეთი სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ, ემოციურ და მოქალაქეობრივ განვითარებას, უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებას.

შეფასება: წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც **უსაფრთხო, ინკლუზიური, მოსწავლეზე ორიენტირებული და პიროვნული განვითარების ხელშემწყობი სოციო-კულტურული სივრცის**, რაც სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია..

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გადახედვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირების, დოკუმენტების საჯარო განხილვის, უკუკავშირის მიღებისა და მისი ასახვის, ასევე მისიის, ხედვისა და ღირებულებების პერიოდული გადახედვის მექანიზმები.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დაფუძნებისა და ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე იმყოფება, რის გამოც სასკოლო საზოგადოება (პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები) ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, **ამ ეტაპზე სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია პარტნიორთა კრებისა და არსებული დირექციის მონაწილეობით**, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ოქმებით.

ამავე დროს, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყებისა და სასკოლო საზოგადოების სრულად ფორმირების შემდეგ, მისია, ხედვა და ღირებულებები გადაიხედება ადმინისტრაციის, პედაგოგების, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს თანამონაწილეობითი მართვის პრინციპების სრულფასოვან განხორციელებას.

შეფასება: მოცემულ ეტაპზე სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველმყოფი მექანიზმები და პროცედურები. მისიის, ხედვისა და ღირებულებების საწყისი ვერსია შემუშავებულია პარტნიორთა კრებისა და არსებული დირექციის მონაწილეობით, ხოლო სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ დაგეგმილია მათი გადახედვა და განახლება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის აქტიური ჩართულობით, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, მარეგულირებელი დოკუმენტების პროექტებისა და დამტკიცებული ვერსიების გაზიარება ხორციელდება სკოლის ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელების, საჯარო განხილვების, პედაგოგიური საბჭოს სხდომებისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და პროცესში ჩართულობას.

სკოლას განსაზღვრული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების ეფექტიანი პროცედურები და საკომუნიკაციო მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების სრული შემადგენლობა ამ ეტაპზე ჯერ არ არის ფორმირებული, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აღნიშნული დოკუმენტების გაზიარება და განხილვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან სკოლის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტები ქვეყნდება და ვრცელდება სკოლის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით, მათ შორის **სკოლის ვებგვერდზე, ელექტრონული ფოსტით, სოციალურ ქსელებში, საინფორმაციო დაფაზე და საჯარო განხილვების ფორმატში**, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ამასთან, სკოლას განსაზღვრული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცედურები და საკომუნიკაციო მექანიზმები, რაც ქმნის მათი გამჭვირვალედ გავრცელებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობის საფუძველს და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება - "შპს შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- მისია, ხედვა, ღირებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

შპს „შვეიცარიული საერთასორისო სკოლა თბილისში“ შემუშავებული აქვს **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია** (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 12 მარტის N-*01/12/03-26* ბრძანებით), რომელიც სისტემურად არეგულირებს სკოლის განვითარების დაგეგმვის პროცესს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, ძირითად პრინციპებს, პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებს, სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მონიტორინგის, შეფასებისა და ცვლილებების განხორციელების წესს.

მეთოდოლოგია ეფუძნება თანამონაწილეობითი დაგეგმვის, გამჭვირვალობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპებს. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებითა და არსებული მდგომარეობის ანალიზით, რომლის ფარგლებში გამოიყენება როგორც სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაცია, ისე სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, კვლევების შედეგები და სხვა ანალიტიკური ინფორმაცია.

ამასთან, მეთოდოლოგია პირდაპირ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დაწყებისას სკოლა უზრუნველყოფს ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ან მათთვის დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებას, უკუკავშირის მიღებასა და შესაბამისი წინადადებების განხილვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს სასკოლო საზოგადოების რეალურ საჭიროებებსა და მოლოდინებს.

მეთოდოლოგია ასევე ადგენს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება შვიდწლიან ციკლში, რომლის ფარგლებში ეტაპობრივად ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ან გადახედვა, სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება, მათი მონიტორინგი, შეფასება, ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის უწყვეტობასა და სისტემურ განვითარებას.

ვინაიდან სკოლა ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე იმყოფება, მეთოდოლოგია დამატებით ითვალისწინებს, რომ სკოლის ამოქმედებიდან პირველივე წლის განმავლობაში, სასკოლო საზოგადოების სრულად ფორმირების შემდეგ, გადაიხედოს სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საჭიროების შემთხვევაში მათში ცვლილებები შევიდეს უკვე სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობით.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს **შვიდწლიანი (2026–2033 წწ.) სტრატეგიული გეგმა** (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N 3-01/25/03-26 ბრძანებით), რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების გრძელვადიან მიმართულებებს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების ძირითად მიზნებს, მათ შორის: სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეზე ორიენტირებული და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს განვითარებას, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას, ორგანიზაციული მართვის გაძლიერებას, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ზრდასა და ადგილობრივ და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას.

დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ თითოეული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების პრიორიტეტების თანმიმდევრულ განხორციელებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევისკენ მიმართულ საქმიანობას.

ამასთან, სტრატეგიული გეგმა ეფუძნება ციკლური განვითარების პრინციპს და ითვალისწინებს მისი განხორციელების, პერიოდული შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში გადახედვის შესაძლებლობას, რაც ქმნის სკოლის განვითარების უწყვეტობისა და გაუმჯობესების საფუძველს.

შეფასება: წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს შვიდწლიან, ციკლურ განვითარების დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, მოიცავს მათი შესაბამის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი (2026–2027 სასწავლო წლის) სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზნები შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებთან და წარმოადგენს მათი განხორციელების პირველ ეტაპზე პრიორიტეტულ მიმართულებებს. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს, ვადებსა და რესურსებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი საქმიანობების ორგანიზებულ განხორციელებას.

ვინაიდან სკოლა ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე იმყოფება, ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები ამ ეტაპზე ჯერ არ არსებობს. შესაბამისად, პირველი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, ხოლო შემდგომ წლებში, მეთოდოლოგიის მიხედვით, იგი დაეფუძნება როგორც სტრატეგიულ გეგმას, ისე თვითშეფასების შედეგებს.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N3-01/25/03-26 ბრძანებით) მოიცავს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე აქტივობებს, რომელთათვისაც განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. აქტივობები დაკავშირებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მათი ეტაპობრივი განხორციელების საფუძველს.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები იძლევა აქტივობების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას, ხოლო პასუხისმგებელი პირებისა და განხორციელების ვადების მითითება ხელს უწყობს პროცესის ეფექტიან მართვასა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

ამასთან, დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ რესურსების გრაფაში უმეტეს შემთხვევაში მითითებულია მხოლოდ ჩანაწერი - „არსებული რესურსი“, რაც არ იძლევა კონკრეტული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას. **შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია რესურსები დაკონკრეტდეს და გაიმიჯნოს ადამიანურ, მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსურ რესურსებად, რაც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის უფრო ეფექტიან დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას.**

ვინაიდან სკოლა დაფუძნებისა და ფუნქციონირების საწყის ეტაპზეა, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა რეალისტურად ასახავს პირველ წელს განსახორციელებელ პრიორიტეტულ აქტივობებს და ქმნის სტრატეგიული მიზნების ეტაპობრივი განხორციელების საფუძველს.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შვიდწლიანი 2026-2033 ს/წ სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი 2026-2027ს/წ სამოქმედო გეგმა;
- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 12 მარტის N-*01/12/03-26* ბრძანებით) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასთან ერთად დეტალურად არეგულირებს მათი განხორციელების **მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**. მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგის მიზანს, პერიოდულობას, პასუხისმგებელ პირებს, შეფასების პროცესს, ანგარიშგებისა და გეგმების გადახედვის წესს.

დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე, რის შედეგადაც ფასდება დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი, მიღწეული შედეგები და გამოვლენილი გამოწვევები. მონიტორინგის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში, რომლებიც გამოიყენება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად და შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრისთვის.

მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს, რომ შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, გადაიხედოს როგორც სტრატეგიული, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, განახლდეს აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და სხვა კომპონენტები. აღნიშნული უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის ციკლურობას, უწყვეტ განვითარებასა და სკოლის საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მართვას.

შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების სრულფასოვან მექანიზმებს, რაც ქმნის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების სისტემური კონტროლისა და მათი შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

წარმოდგენილი ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გასაუბრების შედეგები;
- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

შპს „შვეიცარიული საერთასორისო სკოლა თბილისში“ წარმოადგინა ორგანიზაციული სქემა. აღნიშნული მართვის სქემა დამტკიცებულია და ძალაშია შესული სკოლის დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანების საფუძველზე.

სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს მართვის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, იერარქიულ მოდელს, რომელიც რამდენიმე ძირითადი დონისა და ფუნქციური ვერტიკალისგან შედგება:

- **სტრატეგიული და აღმასრულებელი მართვის დონე**

ორგანიზაციის უმაღლეს მმართველ რგოლს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც ახორციელებს სკოლის სტრატეგიულ ზედამხედველობას. პარტნიორთა კრების წინაშე ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - სკოლის დირექტორი. დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია ფინანსური მენეჯერი, რომელიც თავის მხრივ ხელმძღვანელობს ბუღალტრის საქმიანობას. ასევე, დირექტორთან პირდაპირ ხაზოვან კავშირშია იურისტი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მუდმივ სამართლებრივ მხარდაჭერასა და კონტროლს.

- **აკადემიური და საოპერაციო მართვის ვერტიკალი**

დირექტორისგან მართვის უფლებამოსილება გადაეცემა დირექტორის მოადგილეს, რომელიც ორგანიზაციული სტრუქტურის ყველაზე ფართო ფუნქციურ ბლოკს კურირებს. მოადგილის პირდაპირ დაქვემდებარებაში არიან როგორც სპეციფიკური მხარდამჭერი სპეციალისტები, ისე ძირითადი სტრუქტურული ერთეულები. კერძოდ, ამ რგოლს მიეკუთვნებიან შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, მარკეტინგის ხელმძღვანელი და პერსონალური მონაცემების დაცვის სპეციალისტი. აკადემიურ ნაწილს კი მოადგილე მართავს დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელის მეშვეობით, რომლის დაქვემდებარებაშიც მოაზრებულნი არიან მასწავლებლები, მენტორები და მხარდამჭერი პედაგოგები.

- **საყოფაცხოვრებო-ტექნიკური და ლოჯისტიკური ბლოკი**

სკოლის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობისთვის, დირექტორის მოადგილის დაქვემდებარებაში გამოყოფილია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიცია. მას პირდაპირ ეხმარება ადმინისტრაციის ასისტენტი. რაც შეეხება ტექნიკურ და სამეურნეო პერსონალს, სქემაზე ისინი წარმოდგენილნი არიან ერთიანი ვერტიკალური ჯაჭვის სახით, სადაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქვემოთ ეტაპობრივად ლაგდებიან: დაცვის ოფიცერი, ექიმი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, IT მენეჯერი და დიასახლისები.

ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ წარმოდგენილი სტრუქტურა პასუხობს სტანდარტის (ადმინისტრაციული მხარდაჭერა) ძირითად მოთხოვნებს, რადგან ფუნქციები გადანაწილებულია და მართვის დონეები იკითხება. განსაკუთრებით პოზიტიურად უნდა შეფასდეს სტრუქტურაში შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სპეციალისტების არსებობა, რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე თანამედროვე საკანონმდებლო რეგულაციებთან.

თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით, საოპერაციო გუნდის (დაცვა, ექიმი, IT, სამეურნეო ნაწილი) ვერტიკალური და არა ჰორიზონტალური განლაგება გრაფიკულად ქმნის შეცდომით შთაბეჭდილებას, რომ ისინი ერთმანეთის უშუალო იერარქიულ დაქვემდებარებაში არიან (მაგალითად, თითქოს ექიმი ექვემდებარება დაცვის ოფიცერს, ხოლო IT მენეჯერი - მატერიალურ-ტექნიკურ კოორდინატორს). **რჩევა: აღნიშნული ვიზუალური ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად, სასურველია გრაფიკულად დაკორექტირდეს მართვის სქემის (ორგანოგრამის) ქვედა ნაწილი: ნაცვლად ერთიანი ვერტიკალური სვეტისა, საოპერაციო გუნდის ეს წევრები (დაცვა, ექიმი, კოორდინატორი, IT) განთავსდნენ ჰორიზონტალურ პარალელზე, სადაც თითოეული მათგანის ბლოკი ცალკეული, დამოუკიდებელი ისრით დაუკავშირდება მათი ერთიანი ხელმძღვანელის - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გრაფას. ეს ცვლილება სქემას შესძენს სრულ საგნობრივ სიზუსტეს და თვალსაჩინოს გახდის, რომ ისინი თანაბარმნიშვნელოვანი საოპერაციო რგოლები არიან.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიან მხარდაჭერას, ფუნქციების მკაფიო დეცენტრალიზაციასა და როლების იერარქიულ ოპტიმიზაციას სამართლებრივად უზრუნველყოფს **შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი - „თანამდებობრივი ინსტრუქციები“**:

დოკუმენტით ჩამოყალიბებულია სტრატეგიული (პარტნიორთა კრება, დირექტორი), ტაქტიკური (მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) და საოპერაციო (კათედრები, პედაგოგები, დამხმარე პერსონალი) მართვის მკაფიო ვერტიკალი.

აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებები სრულად არის გამიჯნული. დირექტორის მოადგილე და კათედრის ხელმძღვანელები ორიენტირებულნი არიან სასწავლო პროცესის ხარისხსა და მენტორინგზე, ხოლო ადმინისტრაციული გუნდი საოპერაციო, ლოგისტიკურ და მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერაზე.

პედაგოგიური საბჭო და მასწავლებლის ხარისხის განვითარების ჯგუფი აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასწავლო გეგმებისა და აკადემიური სტრატეგიების დამტკიცებაში.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია: დოკუმენტით მკაფიოდ არის გამიჯნული აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური მართვის ბლოკები, რაც გამორიცხავს ფუნქციურ დუბლირებასა და ინტერესთა კონფლიქტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ორგანიზაციული სქემა;
- **„თანამდებობრივი ინსტრუქციები“**;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ადამიანური რესურსების მართვის, შერჩევისა და განვითარების პროცესები სამართლებრივად რეგულირდება **სკოლის დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით“** აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული საკადრო პროცედურები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების მიზნებთან. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ უზრუნველყოფს კადრების შერჩევის, შეფასების, მოტივირებისა და პროფესიული განვითარების კანონშესაბამის, გამჭვირვალე და ობიექტურ სისტემას. შიდაორგანიზაციული კლიმატის პერიოდული კვლევა, შეფასების ვალიდური სქემები და დირექციის მხრიდან პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდაზე ზრუნვა სრულად პასუხობს ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებს და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ ამაღლებას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

„“შპს შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში” შინაგანაწესის“ (დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებ) ანალიზით დგინდება- **„სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა“**: ასევე “პერსონალის მართვის პოლიტიკა” ეფუძნება მკაფიოდ სტრუქტურირებულ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც მიმართულია როგორც დარღვევებისა და არასასურველი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბების **პრევენციაზე**, ისე ნებისმიერ გადაცდომაზე დროულ და ობიექტურ **ინტერვენციაზე**. აღნიშნული მიდგომა სრულად არის ასახული სკოლის შინაგანაწესში:

1. პრევენციული მექანიზმები (საჭიროებებისა და რისკების წინასწარი მართვა)

სკოლა ახორციელებს რამდენიმე ფუნდამენტურ პრევენციულ ღონისძიებას უსაფრთხო, სამართლიანი და პროფესიული გარემოს შესანარჩუნებლად:

- **დისკრიმინაციის მკაცრი აკრძალვა და ჯანსაღი გარემოს გარანტია:** მე-3 მუხლის შესაბამისად, პოლიტიკა პრევენციულად კრძალავს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციასა და შევიწროებას, რაც გამორიცხავს თანამშრომლებისთვის დამაშინებელი, მტრული ან ღირსების შემლახავი გარემოს შექმნას.
- **წინასახელშეკრულებო ფილტრაცია:** მე-9 მუხლით განსაზღვრული წინასახელშეკრულებო რეგულაციები უზრუნველყოფს რისკების პრევენციას. სკოლა მასწავლებლებისა და უსაფრთხოების კოორდინატორებისგან სავალდებულოდ მოითხოვს ცნობას ნასამართლობის, აგრეთვე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ, რაც იცავს სასკოლო საზოგადოებას შესაძლო საფრთხეებისგან.
- **ინფორმაციული და სამუშაო უსაფრთხოება:** მე-4 და მე-5 მუხლები აწესრიგებს კონფიდენციალურობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების (ვიდეოსათვალთვალო სისტემები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ევაკუაციის გეგმები) საკითხებს, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული ზიანის პრევენციას.
- **ადაპტაციის მექანიზმი:** მე-11 მუხლის თანახმად, ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან შეგუებასა და პოტენციური სირთულეების პრევენციას ხელს უწყობს სპეციალური პასუხისმგებელი პირი — დირექტორის მოადგილე.
- **პოზიტიური სტიმულირება:** მე-19 და მე-20 მუხლებით განსაზღვრული წახალისების ფორმები (მადლობა, სიგელი, პრემია და სხვ.) წარმოადგენს პერსონალის მოტივირებისა და გადაცდომების პრევენციის ეფექტურ ინსტრუმენტს.

2. ინტერვენციული მექანიზმები (გადაცდომებზე რეაგირების სისტემა)

იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პრევენციული ზომები არ აღმოჩნდება საკმარისი, შინაგანაწესი ითვალისწინებს მკაფიო, ეტაპობრივ და სამართლიან ინტერვენციულ ზომებს:

- **ობიექტური დისციპლინური წარმოება:** 21-ე მუხლი ადგენს, რომ ინტერვენცია (დისციპლინური დევნა) უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული, პროპორციული და დაფუძნებული ჯეროვან და სამართლიან პროცედურაზე, სადაც დასაქმებულს განემარტება გადაცდომის არსი და დაცულია მისი ღირსება.
- **გადაცდომების დიფერენცირება:** 22-ე მუხლში დეტალურად არის გაწერილი ყველა შესაძლო დისციპლინური გადაცდომა (სამსახურებრივი მოვალეობის უგულებელყოფა, ფსიქოლოგიური ზეწოლა, ეთიკის კოდექსის დარღვევა, ბულინგი და სხვ.), რაც გამორიცხავს სუბიექტურ ინტერპრეტაციებს.
- **პროპორციული სახდელები:** რეაგირების ზომები (შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან გათავისუფლება) გამოიყენება გადაცდომის სიმძიმისა და შინაარსის გათვალისწინებით (მუხლი 22, პუნქტი 3; მუხლი 28).
- **უკუკავშირი და გამოსწორების შესაძლებლობა:** 24-ე მუხლის მიხედვით, ინტერვენციის პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ დასჯაზე, არამედ თანამშრომლის ქცევის კორექციაზე — შინაგანაწესი ითვალისწინებს კეთილსინდისიერი მუშაობის შემთხვევაში დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის შესაძლებლობას.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ფლობს გამართულ, საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკას, რაც სრულად დასტურდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში არსებული რისკების პრევენცია ხორციელდება კადრების მკაცრი წინასახელშეკრულებო შემოწმებით, დისკრიმინაციის აკრძალვით, უსაფრთხო გარემოს გარანტიებითა და წახალისების სისტემით. ხოლო საჭიროების

შემთხვევაში, ინტერვენციის მექანიზმები უზრუნველყოფენ სამართლიან, პროპორციულ და გამჭვირვალე დისციპლინურ წარმოებას, რომელიც ორიენტირებულია სამუშაო პროცესის ეფექტურ აღდგენასა და დასაქმებულთა უფლებების დაცვაზე. დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

შპს „შვეიცარიული საერთასორისო სკოლა თბილისში“ პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დასაქმების პროცედურები სამართლებრივად დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესითა და მასწავლებლის შერჩევის წესით. დოკუმენტებში გაწერილი ნორმები უზრუნველყოფს ვაკანტურ პოზიციებზე შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების შერჩევას ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით:

- **დისკრიმინაციის გამორიცხვა და თანაბარი შესაძლებლობები:** შერჩევისა და დასაქმების პროცესის მთავარი გარანტია სკოლაში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის მკაცრი აკრძალვაა. შინაგანაწესის მე-3 მუხლისა და მასწავლებლის შერჩევის წესის თანახმად, იკრძალება განსხვავება რასის, კანის ფერის, ენის, ასაკის, სქესის, წარმოშობის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც ყველა კანდიდატისთვის თანაბარ სასტარტო პირობებს ქმნის.
- **კონკურსის გამოცხადება და საჯაროობა:** მასწავლებლის ვაკანტური პოზიცია შეივსება შიდა ან ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც ცხადდება დირექტორის ბრძანებით. ღია კონკურსის შესახებ განცხადება საჯაროვდება ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდებზე (www.jobs.ge და http://teacherjobs.ge/), ასევე სკოლის ვებგვერდზე, ხოლო განცხადებების წარდგენის ვადა შეადგენს არანაკლებ 5 კალენდარულ დღეს.
- **კვალიფიკაციისა და პოზიციის შესაბამისობის მკაფიო ფილტრები:** ვაკანსიის განაცხადი იქმნება სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით. შინაგანაწესის მე-9 მუხლი და მასწავლებლის შერჩევის წესი ადგენენ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის გამჭვირვალე წესს, სადაც კანდიდატისგან ითხოვენ განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ საბუთებს, მასწავლებლების შემთხვევაში კი — მინისტრის №174/ნ ბრძანებით დადგენილი სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სტატუსის სერტიფიკატისა/ცნობისა და საგნის ჩაბარების დადასტურებას.
- **ნასამართლობისა და უსაფრთხოების კონტროლი:** მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, მასწავლებლად, სპეციალურ, მოწვეულ თუ შემცვლელ მასწავლებლად არ შეიძლება დასაქმდეს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა. სკოლა ასევე უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.
- **საკონკურსო კომისიის საქმიანობა და ეტაპები:** კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შეფასებაც არის მიუკერძოებელი, თანაბარი და ეფუძნება კანდიდატების განაცხადების გადარჩევას, გასაუბრებას, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას ან/და საჩვენებელ გაკვეთილს. შერჩევის შედეგების შესახებ თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან წერილობით ეცნობება 10 კალენდარული დღის ვადაში.
- **გამჭვირვალე გაფორმება და ადაპტაცია:** შინაგანაწესის მე-11 მუხლის თანახმად, პირი სამსახურში მიიღება ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების დადების საფუძველზე, სადაც წინასწარ განისაზღვრება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, დასაქმებულის კონკრეტული თანამდებობა და ფუნქცია-მოვალეობები. სამუშაო აღწერილობა თან ერთვის შრომით ხელშეკრულებას, რაც გამორიცხავს ორაზროვნებას.

ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ესავე მუხლი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობას, რასაც კოორდინირებას უწევენ სკოლის დირექტორის მოადგილე და უშუალო ხელმძღვანელი.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პოლიტიკა გამართული, ლოგიკური და ყოვლისმომცველია. სკოლის შინაგანაწესი და მასწავლებლის შერჩევის წესი სინქრონულად და გარანტირებულად უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. ორგანიზაციაში მკაფიოდ არის გაწერილი ანტიდისკრიმინაციული რეგულაციები, შესარჩევი ეტაპები და საჯარო პლატფორმებზე ვაკანსიების განთავსების წესი, ნასამართლობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ფილტრები, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისი მკაცრი პროფესიული მოთხოვნები და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო აღწერილობები. წინასახელშეკრულებო ეტაპზე კანდიდატთა კვალიფიკაციისა და სტატუსის მკაცრი შემოწმება სკოლას აძლევს შესაძლებლობას, ვაკანტურ პოზიციებზე მხოლოდ შესაბამისი და მაღალკვალიფიციური კადრები მოიზიდოს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შერჩევის სამართლებრივი ბაზა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დეტალური აღწერილობა, კომისიის ოქმები და შეფასების ფორმები ადასტურებს, რომ სკოლამ უკვე უზრუნველყო კვალიფიციური, პოზიციის შესაბამისი ძირითადი პერსონალის მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების სრული დაცვით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ დასაქმებული მასწავლებლები აკმაყოფილებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ყველა მათგანს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი ნასამართლეობის ცნობები. სკოლას ჰყავს: 1 დირექტორი, 1. ბუღალტერი, 1 ფინანსური მენეჯერი, 1 ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, 1 ადმინისტრაციის ასისტენტი (საქმისმწარმოებელი), 1. ბიბლიოთეკარი, 1. მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 სკოლის ექიმი, 1 დაცვის ოფიცერი, 4 დიასახლისი, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, 1. მარკეტინგის ხელმძღვანელი, 1 დაწყებითი საფეხურის ხელმძღვანელი, 1 ფსიქოლოგი, 1 იურისტი, 1 IT მენეჯერი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, სკოლაში 18 მასწავლებელია (მათ შორის 14 უფროსი, 3 მოწვეული, 1 სპეც.მასწავლებელია). emis-ში დარეგისტრირებას სკოლა გეგმავს ავტორიზაციის მიღებისთანავე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ორგანიზაციული კულტურა და პერსონალის მართვის მიდგომები ორიენტირებულია თანამშრომლებს შორის ჯანსაღი, გუნდური და კოლეგიალური გარემოს ჩამოყალიბებაზე. შინაგანაწესში ასახული რეგულაციები ხელს უწყობს საერთო მიზნების ირგვლივ გაერთიანებას და მართვის პროცესში პერსონალის აქტიურ ჩართულობას:

- **კოლეგიალობა და პროფესიული ეთიკა გუნდში:** მე-12 მუხლის (დასაქმებულის ვალდებულებები) თანახმად, პერსონალის მართვის პოლიტიკა ავალდებულებს თითოეულ თანამშრომელს, ხელი შეუწყოს სკოლაში პოზიტიური, საქმიანი და მშვიდი სამუშაო ატმოსფეროს შექმნას. დასაქმებულები ვალდებულნი არიან, პატივი სცანან კოლეგების უფლებებს, დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები და თავი შეიკავონ ისეთი

ქმედებებისგან, რაც ხელს შეუშლის სხვებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ან შელახავს მათ რეპუტაციას. აღნიშნული მიდგომა ქმნის მყარ საფუძველს ერთობლივი, გუნდური მუშაობისთვის.

- **თანამშრომლობა და ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა:** შინაგანაწესი პერსონალისგან მოითხოვს სკოლის მართვის ორგანოებთან და კოლეგებთან მჭიდრო და კონსტრუქციულ თანამშრომლობას. ინფორმაციული გამჭვირვალობა და აზრთა გაზიარება ორგანიზაციული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების კოორდინირებულ და ეფექტურ წარმართვას.
- **ახალი კადრების გუნდში ინტეგრაცია (მხარდაჭერის სისტემა):** მე-11 მუხლის მიხედვით, სკოლაში არსებული ადაპტაციის პერიოდი მკაფიოდ გამოხატავს გუნდურ მხარდაჭერას. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან შეგუებას, მასთან ერთად ინფორმაციის დამუშავებასა და გუნდში ინტეგრაციას კოორდინირებას უწევს სკოლის მენეჯმენტი (დირექტორის მოადგილე და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), რაც პირველივე დღიდან აგრძნობინებს ახალ კადრს საერთო გუნდის წევრად თავს.
- **კეთილსინდისიერების სტიმულირება:** ორგანიზაციული კულტურა ორიენტირებულია არა ცალკეულ პირთა იზოლირებულ მუშაობაზე, არამედ საერთო მიზნის მიღწევაზე. მე-19 და მე-20 მუხლებით განსაზღვრული წახალისების სისტემა (მადლობა, სიგელი და სხვ.) მიზნად ისახავს სწორედ იმ თანამშრომელთა სტიმულირებას, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებენ მაღალი პასუხისმგებლობითა და კოლეგიალობის პრინციპების დაცვით.

მოკლე დასკვნა:

შპს "შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფექტურად ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის შინაგანაწესი თითოეულ თანამშრომელს ავალდებულებს კოლეგიალობის, ურთიერთპატივისცემისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებას. მენეჯმენტის მხრიდან ახალი კადრების მხარდაჭერისა და ინტეგრაციის მექანიზმები, ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა და კონსტრუქციული თანამშრომლობა უზრუნველყოფს პერსონალის ერთიან გუნდად ფუნქციონირებას საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" პერსონალის მართვის პოლიტიკა აქტიურად უჭერს მხარს თანამშრომელთა მიღწევების დაფასებასა და მათ პროფესიულ განვითარებას. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს პერსონალის აღიარებისა და მოტივაციის ამაღლების მკაფიო სამართლებრივი მექანიზმები:

- **წარმატებისა და დამსახურების ოფიციალური აღიარება:** მე-19 მუხლის შესაბამისად, სკოლაში დანერგილია დასაქმებულთა წახალისების გამართული სისტემა. სამსახურებრივი მოვალეობების კეთილსინდისიერად, მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისა და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის მქონე დავალებების შესრულებისთვის, სკოლა ოფიციალურად აღიარებს თანამშრომელთა წარმატებას. მე-20 მუხლი განსაზღვრავს წახალისების ისეთ ფორმებს, როგორიცაა: მადლობის გამოცხადება, ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია), ფასიანი საჩუქარი ან საპატიო სიგელით დაჯილდოება. ეს უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის მქონე კადრების საჯარო და მატერიალურ აღიარებას.
- **გამოცდილების გაზიარებისა და მხარდაჭერის სისტემა:** წარმატებული გამოცდილების ორგანიზაციულ დონეზე გაზიარებასა და ახალი კადრებისთვის გადაცემას საფუძვლად უდევს მე-11 მუხლით გათვალისწინებული ადაპტაციის მექანიზმი. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან შეგუებას, ინფორმაციის დამუშავებასა და გამოცდილების გაზიარებას კოორდინირებას უწევს სკოლის მენეჯმენტი (დირექტორის

მოადგილე და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი). ეს პროცესი ხელს უწყობს დაგროვილი წარმატებული პრაქტიკის გუნდურ გადაცემას.

- **პროფესიული ეთიკა და კოლეგიალობა:** მე-12 მუხლის თანახმად, დასაქმებულები ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ კოლეგებთან და მართვის ორგანოებთან. ეს ვალდებულება ქმნის კონსტრუქციულ პლატფორმას ყოველდღიურ სამუშაო პროცესში წარმატებული მიდგომების, მეთოდოლოგიებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ფლობს პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ქმედით მექანიზმებს. სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მაღალი მიღწევებისა და კეთილსინდისიერი შრომის ოფიციალურ აღიარებას მადლობის, პრემიებისა და სიგელების სახით. ამასთანავე, დაგროვილი წარმატებული გამოცდილების გაზიარება და კოლეგებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა გარანტირებულია ახალი კადრების მხარდაჭერისა და სამუშაო ადაპტაციის არსებული სისტემით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტის - **„სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის“** (დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N 3-01/25/03-26 ბრძანება) საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, დადგინდა -**„სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები“**:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მასწავლებელთა და პერსონალის საქმიანობის შეფასება, აგრეთვე მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის (PDCA ციკლის) ფუნდამენტურ ნაწილს. სკოლაში მოქმედებს პერსონალის მართვის, მონიტორინგისა და მხარდაჭერის შემდეგი კომპლექსური მექანიზმები:

- **პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების სისტემა:** მე-9 მუხლის თანახმად, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელთა მიზანია არსებული კადრების პროფესიული დონის მუდმივი ამაღლება. მასწავლებელთა შეფასებასა და მათი საჭიროებების დადგენას ახორციელებს ხარისხის განვითარების ჯგუფი.
- **საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება და რუბრიკები:** პედაგოგთა პროფესიული საჭიროებების დასადგენად უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, რაც ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული შეფასების რუბრიკების, დაკვირვების ფორმებისა და პროცედურების საფუძველზე. სრული სურათის მისაღებად გამოიყენება მრავალჯერადი (მეორადი) დაკვირვება, ურთიერთდასწრება და გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა.
- **მრავალმხრივი (მეორადი) მონაცემების ანალიზი:** მასწავლებლის საჭიროებების დასადგენად, საგაკვეთილო დაკვირვების გარდა, სკოლა აგროვებს და აანალიზებს მეორად მონაცემებსა და ანგარიშებს. შეფასებისას სკოლა ხელმძღვანელობს როგორც ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული შიდა ფორმებით, ისე მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული სტანდარტიზებული ინსტრუმენტებით.
- **კათედრებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის როლი:** მე-7 მუხლის შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის კათედრის ხელმძღვანელი და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მუდმივად აკვირდებიან პედაგოგთა მიერ კურიკულუმის გამოყენებას, სამუშაო დისციპლინასა და საგაკვეთილო პროცესის მართვას. გამოვლენილი საჭიროებები სემესტრის ბოლოს აისახება შემაჯამებელ ანგარიშში, რომელიც წარედგინება სკოლის დირექციას შემდგომი რეაგირებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
- **დასკვნა, უკუკავშირი და განვითარება:** ხარისხის ჯგუფის მიერ შეფასების დასრულების შემდეგ დგება დასკვნა (უკუკავშირი), რომელიც მოიცავს გამოვლენილ მიგნებებსა და ხარვეზების გამოსწორების კონკრეტულ რეკომენდაციებს. პედაგოგთან პირისპირ გასაუბრების საფუძველზე მიიღწევა შეთანხმება მისი საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებებზე.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ფლობს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის გამართულ მექანიზმებს. სკოლის ხარისხის განვითარების პოლიტიკა გარანტირებულად უზრუნველყოფს მასწავლებელთა კომპეტენციების მრავალმხრივ შეფასებას საგაკვეთილო პროცესზე სისტემური დაკვირვების, სპეციალური რუბრიკებისა და სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით. კათედრებისა და ხარისხის ჯგუფის მიერ გამოვლენილი საჭიროებები და ანგარიშგების სისტემა საფუძვლად ედება ინდივიდუალური უკუკავშირის მიცემას, რეკომენდაციების შემუშავებასა და პერსონალის მიზანმიმართულ პროფესიულ მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია თანამშრომელთა პროფესიული წინსვლისა და საერთაშორისო გამოცდილების მიღების მიზანმიმართულ დაგეგმვაზე. ეს პროცესი ხორციელდება შემდეგი სტრატეგიული მექანიზმებით:

- **ინსტიტუციური დაგეგმვა:** მე-4 მუხლის მიხედვით, კარიერული განვითარება და ადამიანური რესურსების მართვა შესულია სკოლის დამხმარე პროცესების ნუსხაში. სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეწყობით, არამედ მიზანმიმართულად გეგმავს პერსონალის კარიერულ წინსვლასა და განვითარებას ორგანიზაციულ დონეზე.
- **კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო პერსპექტივა:** სკოლის სპეციფიკიდან და მისიიდან გამომდინარე, კარიერული და პროფესიული ზრდის დაგეგმვა მოიცავს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს უშუალოდ შვეიცარიაში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პედაგოგების მიერ მოწინავე ევროპული საგანმანათლებლო პრაქტიკის ათვისებასა და მის დანერგვას სასკოლო სივრცეში.
- **ეროვნული სქემის ინტეგრირება:** მე-9 მუხლის თანახმად, კარიერული განვითარების დაგეგმვისას სკოლა იყენებს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ გათვალისწინებულ სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს. ეს პედაგოგებს აძლევს მკაფიო გზამკვლევს შიდა ორგანიზაციული თუ სახელმწიფოებრივი სტატუსების ასამაღლებლად.
- **შეფასებაზე დაფუძნებული განვითარება:** ხარისხის ჯგუფისა და კათედრების მიერ ჩატარებული ყოველწლიური შეფასებების, საგაკვეთილო დაკვირვებებისა და მიღებული ანგარიშების საფუძველზე, სკოლის დირექცია წინასწარ განსაზღვრავს პერსონალის საჭიროებებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით იგეგმება მიზნობრივი ტრენინგები და პროფესიული მხარდაჭერის აქტივობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა აქტიურად ზრუნავს პედაგოგიური კოლექტივის პროფესიულ ზრდაზე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების დანერგვაზე. ამ მიზნით, 2026 წლის 13 ივლისს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „შვეიცარიულ საერთაშორისო სკოლა თბილისში“ (წარმოდგენილი დირექტორ მარიამ შურღაიას მიერ) და შვეიცარიულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „The British School Ltd. Liab“-ს (წარმოდგენილი ბარბარა ბუშის მიერ) შორის.

თანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- **პროფესიული განვითარების ვიზიტი შვეიცარიაში: მემორანდუმის საფუძველზე, 2026 წლის 18 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით, შვეიცარიულ საერთაშორისო სკოლაში დაგეგმილია თბილისის სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდება სამუშაო შეხვედრები, სემინარები, კლასებზე დასწრება და ერთობლივი დისკუსიები პედაგოგიური კომპეტენციების ასამაღლებლად.**
- **გამოცდილებისა და მეთოდოლოგიის გაზიარება: პარტნიორი სკოლა საკუთარი რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების, სასწავლო პრაქტიკის, სკოლის მართვის მიდგომებისა და ინსტიტუციური გამოცდილების გაზიარებას.**
- **აკადემიური პერსონალის გაცვლა: თანამშრომლობა ითვალისწინებს ორივე მხარის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით ერთობლივი საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და შეხვედრების ორგანიზებას.**

მემორანდუმი გაფორმებულია განუსაზღვრელი ვადით და მხარეთა ორმხრივ მზაობაზე მიუთითებს, ხელი შეუწყონ პედაგოგთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და ინოვაციური საგანმანათლებლო მიდგომების დანერგვას.

ასევე სკოლას შეძენილი აქვს IPC -ის დანერგვის კურსი [IPC (International Primary Curriculum) შექმნილია **გაერთიანებულ სამეფოში (დიდ ბრიტანეთში)}**, რაც ადასტურებს, რომ სკოლა გეგმავს განახორციელოს **International Primary Curriculum-ის დანერგვის სასწავლო პროგრამა**, რომლის ძირითადი თემებია:

- **IPC-ის ფილოსოფია და პრინციპები** – რაზეა დაფუძნებული პროგრამა და რა მიზნები აქვს.

- **IPC-ის სტრუქტურა** – როგორ არის ორგანიზებული სასწავლო ერთეულები (Units of Learning) და თემატური სწავლება.
- **Subject Learning Goals** – საგნობრივი სასწავლო მიზნების დაგეგმვა და გამოყენება.
- **Personal Learning Goals** – პიროვნული უნარების (მაგ., თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, კომუნიკაცია) განვითარება.
- **International Learning Goals** – მოსწავლეებში საერთაშორისო ცნობიერებისა და გლობალური პერსპექტივის განვითარება.
- **Knowledge, Skills and Understanding** – როგორ განსხვავდება ცოდნის, უნარებისა და გააზრების სწავლება და შეფასება.
- **Process to Facilitate Learning** – IPC-ის სასწავლო პროცესის ეტაპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება.
- **Assessment for Learning** – განმავითარებელი შეფასების გამოყენება სწავლების გასაუმჯობესებლად.
- **სასწავლო ერთეულების დაგეგმვა და განხორციელება** IPC-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მოკლედ, **IPC Level 1** არის **საწყისი პროფესიული კურსი**, რომელიც ამზადებს მასწავლებელს IPC-ის სასწავლო პროგრამის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის კლასში. იგი ადასტურებს, რომ პედაგოგი ფლობს IPC-ის ძირითადი კონცეფციებისა და სწავლების მეთოდოლოგიის საფუძვლებს. ასევე დაგეგმილია შესაბამისი კურსის ტრენერის ჩამოყვანა სექტემბრის დასაწყისისთვის (სკოლამ წარმოადგინა მომსახურების ინვოისი)

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ოფიციალურად გეგმავს პერსონალის კარიერულ ზრდასა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. კარიერული განვითარება ინტეგრირებულია სკოლის მართვის სისტემაში როგორც გეგმიური დამხმარე პროცესი. პროფესიული წინსვლის დაგეგმვა ეფუძნება შიდა შეფასების მექანიზმებს, მასწავლებელთა კარიერული წინსვლის ოფიციალურ სქემასა და საერთაშორისო პერსპექტივას - კვალიფიკაციის ამაღლებას შვეიცარიაში, რაც უზრუნველყოფს მაღალი დონის საერთაშორისო სტანდარტების მქონე კადრების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციასა და მხარდაჭერას, რაც სამართლებრივად დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესითა და „მასწავლებლის ადაპტაციის წესით“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N 3-01/25/03-26 ბრძანებით).

აღნიშნული სისტემა ახალი კადრების ეფექტურ სოციალიზაციას შემდეგი მექანიზმებით ახორციელებს:

- **პირველადი დახვედრა და ინფორმირება:** პირველ სამუშაო დღეს თანამშრომელს ხვდება ადამიანური რესურსების მართვის (არმ) დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომელიც უტარებს გაცნობით შეხვედრას, გადასცემს „ახალი თანამშრომლის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს“ და აცნობს სკოლის შენობის ინფრასტრუქტურას (სამუშაო სივრცეებს, ძირითადი საჭიროების წერტილებსა და უსაფრთხოების ნორმებს).
- **სამუშაოს დაგეგმვა და მენტორობა:** შინაგანაწესის შესაბამისად, პროცესს კოორდინაციას უწევენ დირექტორის მოადგილე და უშუალო ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი ახალმოსულთან ერთად სავალდებულო წესით ადგენს 1-წლიან სამუშაო გეგმას (3, 6, 9 და 12-თვიანი ქვე-ამოცანებით) და პროფესიული განვითარების გეგმას. ამასთანავე, მასწავლებელს ენიშნება გამოცდილი მენტორი, რომელიც უზრუნველყოფს წინამორბედი თანამშრომლისგან საქმეების გადაბარებას, გამოყოფს ყოველდღიურ საკონსულტაციო დროს და ეხმარება მას დავალებების შესრულებაში დამოუკიდებელ რეჟიმზე გადასვლამდე.
- **საორიენტაციო ტრენინგები და სოციალიზაცია:** სამუშაოზე დანიშვნიდან პირველი 3 თვის განმავლობაში, არმ დეპარტამენტი ახალმოსულთათვის ატარებს საორიენტაციო ტრენინგს სკოლის მისიის, ხედვის, სტრუქტურისა და სამუშაო წესების გასაცნობად. კოლექტივი ხელს უწყობს

თანამშრომლის სოციალურ ინტეგრაციას არაფორმალური შეხვედრების, ექსკურსიებისა და კულტურული ღონისძიებების გზით, ხოლო მასწავლებელს ეძლევა სრული წვდომა ბიბლიოთეკასა და ტექნიკურ რესურსებზე.

- **შეფასება და უკუკავშირი:** პირველი 3 თვის გასვლის შემდეგ, ადმინისტრაცია და მენტორი ესწრებიან ახალი მასწავლებლის გაკვეთილებს და აწვდიან უკუკავშირს. სამთვიანი შედეგების განხილვის საფუძველზე, ხელმძღვანელი თანამშრომლისგან იღებს უკუკავშირს მისი განწყობისა და მოლოდინების შესახებ, რის შემდეგაც ერთობლივად იგეგმება თანამშრომლის მონაწილეობა ორგანიზაციის შიდა თუ გარე სატრენინგო კურსებში.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ახალი პერსონალის ინტეგრაციისა და ადაპტაციის პოლიტიკა არის სრულად გამართული, სისტემური და ორიენტირებული თანამშრომლის პროფესიულ მხარდაჭერაზე. სკოლაში მოქმედი ადაპტაციის პროგრამა გარანტირებულად ამცირებს ახალბედა კადრების სტრესს, ხელს უწყობს მათ სწრაფ სოციალიზაციას კოლექტივში და მენტორობის, ინდივიდუალური გეგმების, საორიენტაციო ტრენინგებისა და რეგულარული უკუკავშირის მექანიზმებით უზრუნველყოფს ახალი მასწავლებლების ეფექტიან ჩართვას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ პერსონალის მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია თანამშრომელთა პროფესიული ინიციატივების ხელშეწყობისა და მათი მოტივირების მიზანმიმართულ დაგეგმვაზე. სკოლა წინასწარ განსაზღვრავს და გეგმავს იმ მექანიზმებს, რომლებითაც უნდა მოხდეს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული იდეებისა და აქტივობების წახალისება:

- **ინიციატივების წახალისების ინსტიტუციური დაგეგმვა:** მე-4 მუხლის შესაბამისად - ადამიანური რესურსების მართვა და კარიერული განვითარება - სკოლა წინასწარ გეგმავს პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებისა და მათი ინიციატივების მხარდაჭერის სისტემას, რაც მართვის პოლიტიკის ნაწილია.
- **ერთობლივი ინიციატივების დაგეგმვა პრაქტიკაში:** მე-9 მუხლის მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა გეგმავს გაკვეთილების ერთობლივ მომზადებას, ურთიერთდასწრებასა და კოლეგიალურ უკუკავშირს. ეს სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ დაიგეგმოს და წაახალისდეს პედაგოგების ინიციატივები საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად.
- **პროგრამული ინიციატივების ინტეგრირება:** მე-7 მუხლის თანახმად, პედაგოგები თავად გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს განვლილი წლის საჭიროებებზე დაყრდნობით. წლისა და სემესტრის ბოლოს ანგარიშებში დასახული მიზნები, იდეები და ინიციატივები განიხილება სკოლის დირექციის მიერ, რომელიც გეგმავს მათ საფუძველზე სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებასა და ცვლილებებს.
- **კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო გეგმები:** პერსონალის ინიციატივებისა და განვითარების წასახალისებლად, სკოლა გეგმავს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს შვეიცარიაში, რაც წარმოადგენს თანამშრომელთა პროფესიული ზრდის დაგეგმილ სტიმულს.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მიზანმიმართულად გეგმავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. სკოლის ხარისხის განვითარების პოლიტიკაში ინიციატივების მხარდაჭერა ჩამოყალიბებულია როგორც წინასწარ დაგეგმილი პროცესი, რაც გამოიხატება კურიკულუმების ერთობლივი განვითარების, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვისა და ანგარიშებში წარმოდგენილი იდეების

მართვის დონეზე განხილვის მექანიზმებით. ამ გეგმიურ მიდგომას აძლიერებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შვეიცარიაში გამგზავრების დაგეგმვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა სრულად არის დაფუძნებული თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე, რაც გულისხმობს პროცესზე ორიენტირებულ მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ ციკლს. აღნიშნული მიდგომა პოლიტიკის დოკუმენტში რეალიზებულია შემდეგი სამართლებრივი და ფუნქციური მექანიზმებით:

- **პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის სისტემა:** პირველივე მუხლების თანახმად, სკოლაში მოქმედებს პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. სკოლის ყველა აქტივობა დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად: მმართველობით (სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა), ძირითად (კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება) და დამხმარე პროცესებად (ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა).

- **პროცესის მართვისა და აღწერის სტანდარტი:** თითოეული პროცესი მოიცავს მის დასახელებას, მიზანს, ქვეპროცესებს, მონაწილე მხარეებს, პასუხისმგებელ პირს და პროცესის დიაგრამას. პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ვალდებულნი არიან საქმიანობაში მკაცრად დაეყრდნონ პროცესის დოკუმენტს, ხოლო ხარისხის ჯგუფი შეფასებას სწორედ ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ახორციელებს.
- **ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლი (PDCA):** სკოლის შიდა ხარისხის მართვის სისტემა პირდაპირ ეფუძნება **„დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ (P -D - C - A)** ციკლს:
    - **დაგეგმე:** განისაზღვრება სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობითა და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.
    - **განახორციელე:** ხდება ხარისხის შეფასება წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით (მაგალითად, საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვება, კურიკულუმების შემოწმება).
    - **შეამოწმე:** ხდება განხორციელებული შემოწმების შედეგებისა და მიგნებების დეტალური ანალიზი ხარისხის ჯგუფის მიერ.
    - **განავითარე:** დირექცია და ადმინისტრაცია განსაზღვრავენ ნაკლოვანებების მიზეზებს და შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
- **სისტემური უკუკავშირი და ინტერვენციები:** მე-6 მუხლის თანახმად, ხარისხის ჯგუფის გადაწყვეტილებებისა და კვლევების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები და ინტერვენციები, რომლებიც თავის მხრივ კვლავ ფასდება ციკლური პროცესის შემდგომ ეტაპზე. ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ სრულყოფას.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. სკოლაში წარმატებით არის დანერგილი პროცესული მიდგომა, სადაც ყველა აქტივობა მკაფიოდ არის სტრუქტურირებული და გაწერილი დიაგრამების დონეზე. მართვის პროცესი ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე) ციკლს, რაც გარანტირებულს ხდის მონიტორინგის, შეფასებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე სასწავლო პროცესის მუდმივ და სისტემურ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ სრულყოფილად აქვს იდენტიფიცირებული და აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც ოფიციალურად არის გაწერილი და გამყარებული სპეციალური დოკუმენტით - **„საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები“**. სკოლის ეს მარეგულირებელი აქტი მკაფიოდ მიჯნავს ორგანიზაციული მართვის, უშუალოდ სწავლა-სწავლებისა და ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის სფეროებს. თითოეული პროცესი სტრუქტურირებულია მიზნების, პასუხისმგებლობებისა და დიაგრამების დონეზე, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სტანდარტიზაციასა და მუდმივ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ჩამოყალიბებული აქვს განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ორგანიზებული სისტემა (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N 3-01/25/03-26 ბრძანებით). დოკუმენტით დეტალურად არის გაწერილი პროცედურები, რომლებიც ვრცელდება სკოლის თანამშრომლებზე, მოსწავლეებზე, მშობლებსა/კანონიერ წარმომადგენლებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე:

- **განხილვის პრინციპები და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა:** საჩივრები განიხილება ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების მკაცრი დაცვით. პროცესში დაუშვებელია იმ პირის მონაწილეობა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი ან მონაწილეობდა გასაჩივრებული აქტის მომზადებაში (აცილებისა და თვითაცილების მექანიზმი).
- **წარდგენისა და საქმისწარმოების წესი:** საჩივრის/განცხადების წარდგენა ხდება წერილობით (ქართულ ენაზე) სკოლის დირექტორის მოადგილესთან პირადად ჩაბარებით, ფოსტით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რაც ექვემდებარება დაუყოვნებლივ რეგისტრაციას. წესში მკაფიოდ არის განსაზღვრული სავალდებულო რეკვიზიტები და ხარვეზის დადგენის 3-დღიანი პროცედურა (ხარვეზის გამოსასწორებლად კანდიდატს ეძლევა 5 დღე).
- **განხილვის ზოგადი ვადები და ზეპირი მოსმენა:** განცხადების განხილვის ზოგადი ვადა 10 სამუშაო დღეა, ხოლო საჩივრის განხილვის სტანდარტული ვადა განისაზღვრება 1 თვით (საჭიროებისას ვადის დამატებით 1 თვით გაგრძელების უფლებით). საჩივრის განხილვისას ტარდება ზეპირი სხდომა, რომლის თარიღიც მხარეებს 5 დღით ადრე ეცნობებათ, ხოლო საბოლოო პასუხი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.
- **უფლებების დარღვევის გასაჩივრება:** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში, თანამშრომელს, მოსწავლეს ან მშობელს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს სკოლას 1 თვის ვადაში. მოსწავლეს შეუძლია მიმართვა წარადგინოს დამოუკიდებლადაც, რაც განიხილება 1 თვის ვადაში.
- **სპეციალური წესი კონკურსის შედეგების გასაჩივრებისთვის:** ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია 2 სამუშაო დღის ვადაში სკოლის დირექტორის სახელზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება 3-დან 5 წევრამდე შემდგარი დამოუკიდებელი საპრეტენზიო კომისია (სადაც არ შედიან საკონკურსო ეტაპის გამტარებელი პირები), რომელიც საჩივარს განიხილავს არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ შემუშავებულია თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების უფლებებისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების სრულყოფილი და გამჭვირვალე სისტემა. სკოლის სპეციალური მარეგულირებელი წესი გარანტირებულად უზრუნველყოფს საჩივრების ობიექტურ და მიუკერძოებელ განხილვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის (აცილების მექანიზმის) გზით. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი საქმისწარმოების ვადები, საჩივრების მიღებისა და ზეპირი განხილვის წესები, აგრეთვე შერჩევის კონკურსის შედეგების გასაჩივრების სპეციალური საპრეტენზიო მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა, მათი ვალდებულებები და ორმხრივი სამართლებრივი გარანტიები სისტემურად არის დარეგულირებული სკოლის შინაგანაწესით, მშობელთან

ურთიერთობის დებულებითა და საჩივრების განხილვის წესით. აღნიშნული მარეგულირებელი ბაზა უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაცვას შემდეგი კონკრეტული მექანიზმებით:

1. **მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები**
   - **სამართლიანი შეფასებისა და ხარისხის მოთხოვნის უფლება:** დებულების მე-3 მუხლის თანახმად, მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს სკოლისგან სასწავლო პროცესის მაღალკვალიფიციურად წარმართვა, მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური, თავაზიანი დამოკიდებულება და საგნების მიხედვით ობიექტური შეფასება. სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და არ დაუშვას მოსწავლის აკადემიური ნიშნის განპირობება მისი დისციპლინით.
   - **კონფიდენციალობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა:** სკოლა იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მშობლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია; მისი საჯაროდ განხილვა დაუშვებელია და ამ საკითხებზე კომუნიკაცია ხდება მხოლოდ ინდივიდუალურად (Edupage ელექტრონული ჟურნალით, ელ-ფოსტით, ტელეფონით ან პირისპირ შეხვედრებზე).
   - **ინფორმირებულობა და საგანმანათლებლო მხარდაჭერა:** სკოლა ვალდებულია სისტემატურად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სასწავლო წლის დაწყებიდან 10 დღის ვადაში სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას 112-ის, სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრისა და სახალხო დამცველის ცხელი ხაზების შესახებ. ასევე, წელიწადში სულ მცირე ერთხელ, სკოლა ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებებს მშობლის როლზე, ეფექტურ კომუნიკაციაზე, ბულინგისა და ძალადობის პრევენციაზე.

2. **პერსონალის/თანამშრომელთა უფლებებისა და პროფესიული ღირსების დაცვა**
   - **პროფესიული და პირადი ღირსების დაცვის გარანტია:** დებულება მკაცრად იცავს სკოლის პერსონალის უფლებებს მშობლის მხრიდან შესაძლო არაკორექტული ქმედებებისგან. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იყოს კორექტული, შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლისა და მისი პერსონალის მიმართ, პატივი სცეს თანამშრომელთა პირად და პროფესიონალურ ღირსებას და არ გაავრცელოს მცდარი ან გადაუმოწმებელი ინფორმაცია მათ შესახებ.
   - **სამუშაო პროცესის ხელშეუხებლობა:** პერსონალის შრომითი უფლებებისა და სასწავლო პროცესის მშვიდ გარემოში წარმართვის მიზნით, სკოლას უფლება აქვს არ დაუშვას მშობელი/წარმომადგენელი სკოლის შენობაში შინაგანაწესით ნებადართული მიღების საათებისა და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა.

3. **უფლებების დარღვევის საპასუხო სამართლებრივი მექანიზმები (საჩივრების განხილვა)**
   - **გასაჩივრების დამოუკიდებელი სისტემა:** შინაგანაწესისა და საჩივრების განხილვის წესის თანახმად, პერსონალის, მოსწავლის ან მშობლის კანონიერი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოქმედებს დაცვის ქმედითი სამართლებრივი მექანიზმი. ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი, რომელიც დაუყოვნებლივ რეგისტრირდება და განიხილება ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის (აცილების) პრინციპების სრული დაცვით 1 თვის ვადაში.
   - **შერჩევის/კონკურსის შედეგების გასაჩივრება:** დასაქმების ეტაპზე კანდიდატთა (პერსონალის) უფლებების დასაცავად მოქმედებს საპრეტენზიო კომისია, რომელიც განიხილავს საჩივრებს 5 სამუშაო დღის ვადაში, სადაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად არ მონაწილეობენ უშუალოდ შესარჩევი კომისიის წევრები.

მოკლე დასკვნა:

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ შემუშავებულია პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის სრულფასოვანი, ორმხრივი და გამართული სამართლებრივი მექანიზმები. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებით (შინაგანაწესი, მშობელთან ურთიერთობის დებულება, საჩივრების წესი) გარანტირებულია მშობლის უფლება - მოითხოვოს ობიექტური შეფასება, ხარისხიანი განათლება, ინფორმაციული მხარდაჭერა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა. პარალელურად, საიმედოდ არის დაცული პერსონალის პროფესიული და პირადი ღირსება და სასწავლო პროცესის ხელშეუხებლობა. საჩივრების განხილვისა და დამოუკიდებელი საპრეტენზიო კომისიების არსებობა მხარეებს აძლევს უფლებების დარღვევის შემთხვევაში დავის სამართლიანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტის მყარ გარანტიას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- საჩივრების განხილვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

“შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მართვის პროცესების გამჭვირვალობა, სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინფორმირებულობა, ჩართულობა და უკუკავშირის მართვა სამართლებრივად დარეგულირებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესით (დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის # 3-01/01/06-26 ბრძანება). აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პარტნიორული გარემოს შექმნას შემდეგი კონკრეტული მექანიზმებით:

- **ინფორმირების მექანიზმები და საჯაროობა:** სკოლა იღებს მკაფიო ვალდებულებას, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები, რასაც უზრუნველყოფს მათი საინფორმაციო დაფაზე განთავსებითა და სკოლის ვებგვერდზე ატვირთვით. სკოლის საქმიანობისა და მუშაობის შესახებ საჯარო ინფორმაცია დაინტერესებულ წევრებს მიეწოდება კანონის სრული დაცვით, მათთვის ხელსაყრელი (ელექტრონული ან ამობეჭდილი) ფორმით, მოთხოვნის საფუძველზე და გონივრულ ვადაში.
- **უკუკავშირის მიღება და მართვაში ჩართულობა:** სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების დაინტერესებული წევრების აქტიურ ჩართვას სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო და სასკოლო გეგმების შემუშავების პროცესში, რაც მართვის პროცესებთან დაკავშირებით ორმხრივი უკუკავშირის მიღების პირდაპირი გარანტიაა. გარდა ამისა, სკოლა ორგანიზებას უკეთებს საინფორმაციო და სხვა ტიპის შეხვედრებს თემის წევრებთან, იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს.
- **პრობლემებზე რეაგირების სამართლებრივი გზები:** დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად, საზოგადოების წარმომადგენელი ვალდებულია ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს და გადაჭრას უშუალოდ სკოლის დირექციასთან კომუნიკაციის გზით. ურთიერთობის

ფორმები ეფუძნება კორექტულობის, კეთილგანწყობისა და პიროვნული ღირსების პატივისცემის პრინციპებს, სადაც ნებისმიერი უხეშობა და ღირსების შელახვა დაუშვებელია.

- **ერთობლივი აქტივობები და ჩართულობის ამაღლება:** საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის სკოლა თავად იჩენს ინიციატივას ან ერთვება გარე ეკოლოგიურ, ფიზიკურ და კულტურულ პროექტებში. აგრეთვე, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ამაღლების მიზნით, სკოლა გეგმავს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებებს ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ბულინგის/კიბერბულინგის პრევენცია, ძალადობის გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესი და პერსონალური მონაცემების დაცვა.

მოკლე დასკვნა:

"შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი საიმედოდ და სისტემურად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების დროულ ინფორმირებას, უკუკავშირის მიღებასა და მართვის პროცესებში მათ რეალურ მონაწილეობას. სკოლაში დანერგილია საჯარო დოკუმენტების პროაქტიული გამოქვეყნების (ვებგვერდი, საინფორმაციო დაფა), სტრატეგიული გეგმების შემუშავებაში თემის ჩართვისა და წარმოქმნილი პრობლემების დირექციის დონეზე ოპერატიულად განხილვის ქმედითი სამართლებრივი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

შპს "შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" უზრუნველყოფს პერსონალისა და პედაგოგიური კოლექტივის აქტიურ მონაწილეობას სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესებში. თანამშრომელთა ჩართულობა რეალიზებულია შემდეგი კონკრეტული მექანიზმებით:

- **მონაწილეობა სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვაში:** მასწავლებლებსა და პერსონალს, როგორც სასკოლო საზოგადოების ძირითად წევრებს, აქვთ უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთონ სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო და სასკოლო გეგმების შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს მათ გავლენას ორგანიზაციული მართვის მთავარ მიმართულებებზე.
- **ერთობლივი სამუშაო და პროფესიული დაგეგმვა:** შინაგანაწესის შესაბამისად, მართვის პროცესები კოლეგიალურია — ახალი თანამშრომლის სამუშაო და პროფესიული განვითარების 1-წლიან გეგმებს უშუალო ხელმძღვანელი და დირექტორის მოადგილე ადგენენ დასაქმებულთან ერთად, რაც გამორიცხავს ცალმხრივ ადმინისტრირებას.
- **მენტორობის ინსტიტუტი და კოლექტიური მხარდაჭერა:** გამოცდილი მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მართვისა და კადრების გაძლიერების პროცესში მენტორობის გზით; ისინი უზრუნველყოფენ საქმეების გადაბარებას, ყოველდღიურ კონსულტაციებსა და ახალი კოლეგების პროფესიულ მხარდაჭერას. მთელი კოლექტივი მონაწილეობს შიდა ორგანიზაციულ სოციალიზაციაში, არაფორმალურ შეხვედრებსა და კულტურულ ღონისძიებებში.
- **უკუკავშირისა და ინიციატივების ორმხრივი სისტემა:** მართვის პროცესებთან დაკავშირებით მასწავლებლებს აქვთ მყარი პლატფორმა საკუთარი განწყობებისა და მოლოდინების გამოსახატად; 3-თვიანი მუშაობის შედეგების განხილვისას ხელმძღვანელობა სავალდებულო წესით ისმენს პერსონალის უკუკავშირს, რის საფუძველზეც ერთობლივად იგეგმება შიდა თუ გარე სატრენინგო კურსები.
- **საგარეო და სათემო პროექტების ინიცირება:** პერსონალი და მასწავლებლები თავად გვევლინებიან ინიციატორებად ან აქტიურად ერთვებიან სკოლის მიერ დაგეგმილ ეკოლოგიურ, საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებში, პარტნიორ სკოლებთან ერთობლივ ღონისძიებებსა და თემთან კომუნიკაციის პროცესში.

მოკლე დასკვნა:

სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო სრულად უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რეალურ კოლეგიალურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასა და მართვის პროცესებში. სკოლის სტრატეგიული გეგმების ერთობლივი შემუშავება, ინდივიდუალური სამუშაო გეგმების თანაავტორობა, მენტორობის სისტემა და ხელმძღვანელობასთან რეგულარული ორმხრივი უკუკავშირი ქმნის ღია, დემოკრატიულ გარემოს, სადაც პერსონალი პირდაპირ მონაწილეობს ორგანიზაციის მართვასა და განვითარებაში.

.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- საჩივრების განხილვის წესი.
-

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

შპს "შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" ფიზიკური უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილებისა და მოსწავლეთა თუ პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შემუშავებული აქვს სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები. ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით სკოლის მზაობა შემდეგია:

- ფიზიკური უსაფრთხოების მიზნით სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შესაბამის ორგანოსთან „შპს ალგანთან“ (კერძო დაცვითი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია). შპს „ალგანს წარმოდგენილი აქვს - დაცვითი მომსახურების გეგმა ((ობიექტის მოკვლევის აქტი). გეგმის თანახმად ობიექტის ცოცხალი ძალით დაცვა განხორციელდება ყოველდღე 3 მცველით (ცვლაში 1 მცველი - 10 საათიდან - 10 საათამდე). სკოლის შენობა უზრუნველყოფილი იქნება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით (ამ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ინვოისების თანახმად შეძენილია გარე პერიმეტრისთვის 5, შიდა პერიმეტრისთვის 19 ვიდეოკამერა). სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს დაცვის ოფიცრის პოზიციას - 8 საათიდან 17 საათამდე,. სკოლას აყვანილი ჰყავს შესაბამისი კადრი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სკოლას ასევე აუთსორსით აყვანილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ასევე სკოლის სივრცეში არის 2 სატადარიგო გასასვლელი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით - ვიდეოტექნიკა დამონტაჟდება სკოლის შენობაში კანონის შესაბამისად, მოეწყობა შესაბამისი სივრცე კამერების მონიტორინგისთვის, მისი სისტემური ამოქმედება მოხდება სკოლაში სარემონტო სამუშაოების საბოლოოდ დასრულების შემდეგ 2026 წლის 30 აგვისტომდე. შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია - უზრუნველყოს ვიდეოტექნიკის დამონტაჟდება, შესაბამისი სივრცის მოწყობა და მისი სისტემური ამოქმედება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 30 აგვისტომდე.

- **ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები:** სკოლას წინასწარ აქვს შემუშავებული ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმები (ინსტრუქციები და პროცედურები). სკოლა ამ ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს მათ პრაქტიკულ ექსპლუატაციას, თუმცა დოკუმენტური მზაობა სრულია და აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული რეალიზება და მუდმივი მონიტორინგი დაიწყება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე.
- **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება და მდგრადობა:** სკოლის მატერიალური გარემოს კონსტრუქციული საიმედოობისა და ფიზიკური უსაფრთხოების დასადასტურებლად წარმოდგენილია ოფიციალური ინსპექტირების ანგარიში, რომელიც გაცემულია შპს „ექსპერტიზა“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ (ს/კ 404431487, მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. N24 გ). აღნიშნული უწყება აკრედიტებულია სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ, ხოლო ექსპერტიზის დამკვეთს წარმოადგენს შპს "პარადისი 18" (ს/ნ 400278409). ჩატარებული კომპლექსური ვიზუალურ-ტექნიკური, ინსტრუმენტული და საანგარიშო კვლევების საფუძველზე გაცემული დადებითი დასკვნით დასტურდება, რომ შენობა ტექნიკურად მდგრადი და სეისმომედეგია, მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა შეფასებულია როგორც დამაკმაყოფილებელი **„შენობა ვარგისია ექსპლუატაციაში მიღებისთვის“**.
- **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა:** სკოლის მიერ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურა და გაიგზავნა ოფიციალური მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად. რაც სკოლას გაწერილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის 8 ივნისი, შესაბამისად ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გამოგზავნილი წერილი, რითაც დასტურდება , რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სეთანხმებულია უფლებამოსილ პირთან/ორგანოსთან.
- **სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა (შესაბამისობის გეგმა):** შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან სრული თავსებადობის დასადგენად, სკოლის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ შესაბამისობის გეგმაში მკაფიოდ არის გაწერილი მომდევნო სამართლებრივი ნაბიჯი. კერძოდ, შენობაში სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ, გაიგზავნება მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად, რის საბოლოო შესრულების ვადად განსაზღვრულია

2026 წლის 15 სექტემბერი. **შესაბამისად ამ საკითხთან მიმართებით ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია - შესაბამისობის გეგმის თანახმად 2026 წლის 15 სექტემბრამდე მიმართოს უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

წარმოდგენილი დოკუმენტის - „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის“ (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 25 მარტის N3-01/25/03-26 ბრძანებით) საფუძველზე, შპს "შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას, უსაფრთხო გარემოს შექმნასა და სკოლის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების ეფექტურ გაწევას. ვინაიდან სკოლა ამ ეტაპზე საავტორიზაციო ფაზაშია და ჯერ არ ფუნქციონირებს, აღნიშნული მექანიზმები სრულად არის მოწესრიგებული სამართლებრივ დონეზე და ამოქმედდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე:

- **სამედიცინო კაბინეტის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა:** პირველადი დახმარების მისაღებად სკოლის პირველ სართულზე (G სართული) გამოყოფილია სათანადო ფართის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებითა და ვენტილაციით. სკოლის შენობაში ამჟამად მიმდინარეობს აქტიური სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოები, რის გამოც სამედიცინო კაბინეტი ფიზიკურ სივრცეში ჯერ არ არის საბოლოოდ მოწყობილი. მიუხედავად ამისა, სკოლის მიერ წინასწარ არის გაწეული მატერიალური მზაობა - სამედიცინო კაბინეტისთვის განკუთვნილი ყველა შესაბამისი ავეჯი და პირველადი დახმარების ინვენტარი/აპარატურა უკვე შესყიდულია და დასაწყობებულია, ხოლო მათი მონტაჟი განხორციელდება სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე. პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების უშუალო შეძენა, ვარგისიანობის ვადების მაქსიმალური დაცვის მიზნით, დაგეგმილია უშუალოდ სასწავლო პროცესის დაწყების წინ - **2026 წლის სექტემბრისთვის**.
- **კვალიფიციური ადამიანური რესურსი:** პირველადი დახმარების გასაწევად სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალთან - ექიმთან.
- **სამედიცინო პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები:** სკოლის ექიმი ახორციელებს დაუყოვნებელ რეაგირებას ჯანმრთელობის გადაუდებელ მდგომარეობებზე (ტრავმა, მწვავე ტკივილი, მოწამვლა და ა.შ.), აფასებს სიმძიმეს და საჭიროებისას იძახებს სასწრაფო დახმარებას (112). გარდა გადაუდებელი ჩარევისა, სამედიცინო პერსონალის მოვალეობებში შედის:
    - ფიზიკური დაზიანების რისკების შემცველი გარემო ფაქტორების შეფასება და პრევენცია;
    - მოსწავლეთა პერიოდული გეგმური შემოწმება (სქოლიოზი, მხედველობა, ანთროპომეტრული მონაცემები, პედიკულოზის პრევენცია);
    - ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეებზე მეთვალყურეობა და იმუნიზაციის პროცესის ზედამხედველობა;
    - სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებზე, დასუფთავებაზე, სასმელ წყალსა და სურსათის უვნებლობაზე კონტროლი;
    - მოსწავლეზე ძალადობის ან არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენისას კანონით დადგენილი რეაგირება და რეფერირება.
- **გადაუდებელი შემთხვევების პროტოკოლი და უფლებამოსილებები:** დოკუმენტი განსაზღვრავს ქცევის წესს უბედური შემთხვევისას, რაც ითვალისწინებს უფლებამოსილი მედიკოსის სასწრაფო ინფორმირებას, 112-თან დაკავშირებას და არაკვალიფიციური პირების მიერ დაზარალებულის თვითნებური გადაადგილების/დახმარების აკრძალვას. წესს დანართის სახით თან ახლავს კონკრეტული სამედიცინო პროტოკოლები (მაგ. გულის წასვლის, ხელოვნური სუნთქვისა და გულ-ფილტვის რეანიმაციის ჩატარების ტექნიკა).

- **პაციენტის უფლებები და კონფიდენციალურობა:** მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა კონფიდენციალურია. მედიკამენტის მიცემამდე ექიმი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს მშობელთან. 16 წელზე უფროს მოსწავლეს უფლება აქვს თავად განაცხადოს თანხმობა ან უარი სამედიცინო მომსახურებაზე, რაც ეცნობება მშობელს.
- **სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება:** ყოველი შემთხვევა აღირიცხება კონფიდენციალურ „სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალსა“ (ინახება 5 წელი) და „სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში“ (გადაეცემა მშობელს მოსწავლის მიერ სკოლის დასრულებისას/გადასვლისას).

მოკლე დასკვნა: წარმოდგენილი რეგულაციითა და პირველადი დახმარების პროტოკოლებით დასტურდება, რომ შპს შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში - სამართლებრივ, საინვენტარო და ადამიანური რესურსების დონეზე სრულად არის მომზადებული სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების ხარისხიანად და ოპერატიულად აღმოსაჩენად. განსაზღვრულია სამედიცინო კაბინეტის სტანდარტები, პერსონალის მკაფიო უფლება-მოვალეობები, პრევენციული და სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებები და მონაცემთა კონფიდენციალურობის მექანიზმები, რაც სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის მიერ მომზადებულია და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად უკვე გაგზავნილია „დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტი“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად არეგულირებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირებას, მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის მართვის სამართლებრივ ჩარჩოს.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის ოფიციალური გეგმის მიხედვით, აღნიშნული წესის სამინისტროსთან საბოლოო შეთანხმება და დირექტორის ბრძანებით დამტკიცება დაგეგმილია 2026 წლის 15 სექტემბრისთვის, სასწავლო პროცესის რეალურად დაწყებამდე. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაიცა **რეკომენდაცია - სკოლის მიერ უზრუნველყოფილ იქნას „დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის პროექტის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმება, მისი საბოლოო დამტკიცება განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის აგვისტო) და აღნიშნული მექანიზმების სრული ამოქმედება.**
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო

შპს “შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მოსწავლეთა პიროვნული, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის ქმნის პოზიტიურ, მზრუნველ და ძალადობისგან თავისუფალ საგანმანათლებლო სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაცია დეტალურად აწესრიგებს ბავშვის უფლებების დაცვის, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, ძალადობის პრევენციისა და ახალ გარემოსთან ადაპტაციის პროცედურებს.
ამ მიზნით, ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა სკოლის შემდეგი შიდა მარეგულირებელი აქტები:

- „ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები“ (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის ივნისის # 3-01/01/06-26 ბრძანებით);
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი);
- შინაგანაწესი;
- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, სკოლაში მოქმედებს ფსიქო-ემოციური უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის შემდეგი სისტემური მექანიზმები:

- **პროფესიული ფსიქოლოგიური მომსახურება:** სკოლის მიერ შემუშავებული „ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმების“ თანახმად, სკოლაში ფუნქციონირებს კვალიფიციური ფსიქოლოგიური სამსახური, რომლის მიზანია ყველა ბავშვისთვის ბედნიერი, ჯანმრთელი და პოზიტიური გარემოს შექმნა. ფსიქოლოგის საქმიანობა ეფუძნება საერთაშორისო ეთიკის კოდექსს, ბავშვის უფლებათა კონვენციასა და მოქმედ კანონმდებლობას. ფსიქოლოგი უზრუნველყოფს:
    - მოსწავლეთა აკადემიური, პიროვნული და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას;
    - მშობლებისა და მასწავლებლების კონსულტირებას კონფლიქტების პრევენციის, სტრესის მართვისა და ბავშვის ასაკობრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით;
    - თითოეული შეხვედრისა და ჯგუფური მუშაობის კონფიდენციალურ აღრიცხვას, წინასწარი კვლევის საფუძველზე სამუშაო გეგმის შედგენასა და სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენებას ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად.
- **მოსწავლეთა ადაპტაციისა და მზრუნველი კლიმატის ფორმირება:** სკოლის „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ მიზნად ისახავს პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულთა და ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციას. დოკუმენტი დეტალურად აღწერს როგორც წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს (მხიარული, მშვიდი განწყობა, ახალი მეგობრები), ისე დეზადაპტაციის სიმპტომებს (სწრაფი გადაღლა, სკოლაში წასვლის უსურვილობა, კონტაქტისთვის თავის არიდება). დეზადაპტაციის ნიშნების გამოვლენისას, პროცესში დაუყოვნებლივ ერთვებიან კლასის ტუტორი, მშობელი და სკოლის ფსიქოლოგი, რომლებიც შეიმუშავებენ მოსწავლის ინდივიდუალურ მხარდაჭერას, პოზიტიურ წახალისებას და სტრესის დონის კლებას.
- **ინკლუზიური გარემო და სპეციალური საჭიროებების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა მხარდაჭერა:** ადაპტაციის წესის მე-5 მუხლი და ფსიქოლოგიური მომსახურების დებულება სპეციალურად არეგულირებს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერას. ფსიქოლოგი აქტიურად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებასა და განხორციელებაში, აფასებს სსსმ მოსწავლეთა ფუნქციურ უნარებს, ეხმარება პედაგოგებს ადაპტირებული მასალის შექმნასა და ქცევის მართვაში, ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას გარე სპეციალისტებთან.
- **ახალი მოსწავლეების ინტეგრაციის პროცედურები (მობილობა):** „მოსწავლის ჩარიცხვისა და მობილობის წესის“ და ადაპტაციის წესის თანახმად, მობილობით გადმოსული მოსწავლისთვის კლასის ტუტორი ახორციელებს საორიენტაციო აქტივობებს: აცნობს სკოლის გარემოს, წესებს, მასწავლებლებსა და თანაკლასელებს, უთმობს დროს საკუთარი თავის წარდგენას და მუდმივ კომუნიკაციაშია მშობელთან, რათა თავიდან იქნას აცილებული ემოციური დისკომფორტი.
- **სტატუსის შეჩერების პრევენცია, როგორც ემოციური დაცვის ბერკეტი:** „მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით, მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის სისტემატური გაცდენის შემთხვევაში (მე-10 და მე-20 დღეს), დამრიგებელი ვალდებულია მოამზადოს წერილობითი ანგარიში, გამოიკვლიოს მიზეზები და ჩართოს სისტემის სოციალური მუშაკი. თუ გამოიკვეთა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვის სკოლაში გამოუცხადებლობა ლახავს მის სწავლის უფლებას ან დაკავშირებულია საფრთხესთან, სკოლა დაუყოვნებლივ რეაგირებს ბავშვთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

მოკლე დასკვნა: წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი აქტებით (ადაპტაციის წესი, ჩარიცხვისა და სტატუსის მართვის წესი და ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები) მყარად დასტურდება, რომ შპს "შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" აქვს გამართული, სამართლებრივად უზადო და პრაქტიკული მექანიზმები ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად. სკოლა, მათ შორის მისი ადამიანური და მატერიალური რესურსითა და დეტალურად გაწერილი პროცედურებით, იცავს ბავშვს ძალადობისგან, ხელს უწყობს მის სოციო-ემოციურ ინტეგრაციას და უზრუნველყოფს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტს. სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ფსიქოლოგი, რომელთანაც გაფორმებულია შრომის ხელშკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" სასწავლო და სამუშაო სივრცეებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა სამართლებრივად და პროცედურულად დარეგულირებულია სკოლის სპეციალური წესით (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის # 3-01/01/06-26 ბრძანებით), რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და სუფთა გარემოს შექმნას შემდეგი მექანიზმებით:

- **სტანდარტებთან შესაბამისობა და სადეზინფექციო საშუალებები:** სკოლა ყოველდღიურად დალაგდება და სანიტარულად დამუშავდება ეროვნული გაიდლაინის - „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში" შესაბამისად. დასუფთავების პროცესში გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (NCDC) მიერ რეგისტრირებული, ეტიკეტირებული სადეზინფექციო საშუალებები. ქიმიური ხსნარები ინახება პირვანდელი შეფუთვით, სპეციალურად გამოყოფილ, ჩაკეტილ კარადასა თუ სივრცეში, რათა გამოირიცხოს გარეშე პირთა წვდომა.
- **დასუფთავების პერიოდულობა და ობიექტები:** სკოლაში ყოველკვირეულად ჩატარდება კომპლექსური, ხოლო თვეში ერთხელ - შენობის გენერალური დასუფთავება. საკლასო ოთახები, დერეფნები და კაბინეტები დალაგდება მეცადინეობების დასრულების შემდეგ, გაღებული ფანჯრების მდგომარეობაში. ფანჯრების მინები გაიწმინდება საჭიროებისამებრ. სახელურები და მოაჯირები დეზინფიცირდება დღეში რამდენჯერმე (მაქსიმუმ 3-საათიანი ინტერვალით), ხოლო სამედიცინო კაბინეტი ყოველდღიურ დასუფთავებას ექვემდებარება. კვების ბლოკში ზედაპირები დამუშავდება დილით და საჭიროებისამებრ, ხოლო ჭურჭელი და ინვენტარი - ყოველი გამოყენების შემდგომ.
- **სანიტარიული კვანძების მოვლა და ინფრასტრუქტურა:** სკოლის შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარიული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვთ უწყვეტი განათება, ვენტილაცია და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის. სანიტარიული კვანძები სადეზინფექციო საშუალებებით მუშავდება ყოველი შესვენების შემდეგ, ხოლო დღის ბოლოს ირეცხება ჯაგრისითა და შესაბამისი ხსნარებით. დასუფთავების ინვენტარი არის სათანადოდ მარკირებული, ინახება განცალკევებით და ყოველი სამუშაო დღის ბოლოს გადის დეზინფექციას.
- **ნარჩენების მართვა:** სკოლაში მოქმედებს მყარი ნარჩენების შეგროვებისა და უსაფრთხო გატანის ყოველდღიური სისტემა. შიდა სივრცეებში განთავსებული სატერფულიანი ნაგვის კონტეინერები ერთჯერადი ცელოფნებით იცლება 3/4-ზე გავსებისთანავე, რის შემდეგაც ნაგავი თავსდება ეზოში, შენობიდან 25-30 მეტრის მოშორებით მდებარე თავსახურიან კონტეინერებში. ლპობისა და ხრწნის თავიდან ასაცილებლად, მუნიციპალური სამსახური ყოველდღიურად უზრუნველყოფს ნარჩენების გატანას ტერიტორიიდან. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სპეციალიზებული სამსახური პერიოდულად ატარებს საწყობების, სარდაფებისა და ნაგვის განთავსების ადგილების დერატიზაციას.

- **მონიტორინგი და წყლის კონტროლი:** სპეციალიზებული ლიცენზირებული ლაბორატორიის მიერ პერიოდულად განხორციელდება სკოლის წყლის ლაბორატორიული კონტროლი/ანალიზი. სკოლის ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ყოველდღიურ კონტროლზე პასუხისმგებლობა დავალებული აქვს სკოლის ექიმს. ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო პერიოდში დასუფთავება ტარდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ორგანოს მითითებების მკაცრი დაცვით.

მოკლე დასკვნა:

შპს "შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სისტემა არის მკაცრად გაწერილი და შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. სკოლაში მოქმედებს ყოველდღიური და პერიოდული დასუფთავების, ნარჩენების უსაფრთხო მართვის, დერატიზაციისა და წყლის ლაბორატორიული შემოწმების ქმედითი მექანიზმები. სკოლის ექიმის მიერ წარმოებული მუდმივი მონიტორინგი და შშმ პირებზე ადაპტირებული, გამართული სანიტარიული ინფრასტრუქტურა გარანტირებულად უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და პერსონალის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

მოწოდებული დოკუმენტის - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით) საფუძველზე, დგინდება, რომ შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში" პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პროცესი სრულად შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონსა და მოქმედ კანონმდებლობას. ვინაიდან სკოლა ამ ეტაპზე ჯერ არ ფუნქციონირებს, აღნიშნული პოლიტიკა განსაზღვრავს ავტორიზაციის შემდგომ ეტაპზე ასამოქმედებელ მონაცემთა უსაფრთხოების, კონფიდენციალურობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის მკაფიო შიდაორგანიზაციულ მექანიზმებს:

- **მონაცემთა სუბიექტები და კატეგორიზაცია:** დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სკოლა კანონიერი საფუძვლებითა და დოკუმენტური წესით დაამუშავებს მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, თანამშრომლების (მათ შორის სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი პერსონალის), ვაკანსიაზე წარდგენილი კონკურსანტების, ვიზიტორებისა და ვიდეოთვალთვალის არეალში მოხვედრილი პირების მონაცემებს. გათვალისწინებულია როგორც ზოგადი პერსონალური ინფორმაციის (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა), ისე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების (ჯანმრთელობის, ნასამართლობის თუ ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობები) დამუშავება. არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებისას სკოლა პრიორიტეტულად გაითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:** სკოლის ფუნქციონირებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცესების მართვისთვის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც თავის საქმიანობაში იქნება დამოუკიდებელი და პირდაპირ დაექვემდებარება სკოლის დირექტორს. ოფიცერი მკაცრად გააკონტროლებს მონაცემთა დამუშავების პროცესს, შეაფასებს რისკებს, განიხილავს სუბიექტთა საჩივრებს/განცხადებებს, მოახდენს რეაგირებას დარღვევებზე, აწარმოებს ფაილური სისტემების კატალოგებს და კონსულტაციას გაუწევს სასკოლო საზოგადოებას.
- **მონაცემთა შენახვის ფორმატები და ვადები:**
    - **ელექტრონული ფორმატი:** მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება დაიგეგმება ელექტრონული ჟურნალის პროგრამის მეშვეობით. სისტემაში წვდომა მომხმარებლის სახელითა და პაროლით შეეზღუდებათ და ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის (დირექტორი, HR, მასწავლებლები, საქმისმწარმოებლები). სასწავლო წლის ბოლოს მონაცემები დაარქივდება და შეინახება

დირექტორის კომპიუტერში, არასანქცირებული წვდომისგან დაცულ რეჟიმში. სკოლა ასევე გამოიყენებს საინფორმაციო პორტალს school.emis.ge.

- **მატერიალური ფორმატი:** ქაღალდის სახით არსებული დოკუმენტაცია — მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები - შეინახება სკოლის არქივში, ჩაკეტილ კარადებში საქმისმწარმოებელთან, საიდანაც ინფორმაციის გაცემა მოხდება მხოლოდ საჭიროებისას, მოთხოვნის საფუძველზე. პირადი საქმეების შენახვის ვადად განსაზღვრულია 75 წელი, რის შემდეგაც დოკუმენტები განადგურდება შესაბამისი აქტის საფუძველზე.

- **ვიდეომონიტორინგის სისტემა:** უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით, სკოლაში დაგეგმილია უწყვეტი ვიდეომონიტორინგის განხორციელება საერთო სივრცეებში, დერეფნებში, კიბეებსა და გარე პერიმეტრზე. შენობაში განთავსდება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. ვიდეოჩანაწერები შეინახება დაცულ სერვერზე 30 კალენდარული დღის ვადით, რის შემდეგაც ავტომატურად განადგურდება. ვიდეომონიტორინგზე და მასზე წვდომაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრება შესაბამისი პირი. თვალთვალი მკაცრად აიკრძალება ჰიგიენის სივრცეებსა და გამოსაცვლელ ოთახებში.
- **მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ინციდენტების მართვა:** პოლიტიკით გარანტირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებები - ინფორმაციის მიღება, გაცნობა/ასლის მოთხოვნა (არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა), მონაცემთა გასწორება, განახლება, დაბლოკვა, გადატანა, თანხმობის გამოხმობა ან დამუშავების შეწყვეტა/წაშლა. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტის) აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლა იღებს ვალდებულებას აღრიცხოს იგი და დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 72 საათისა, წერილობით ან ელექტრონულად აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

მოკლე დასკვნა: შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურებულია მზაობა პერსონალური მონაცემების სრულყოფილად და სამართლებრივად გამართულად დაცვის უზრუნველსაყოფად. სკოლაში შემუშავებულია და ავტორიზაციის მიღებისთანავე ამოქმედდება მკაცრად რეგლამენტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრულია დამოუკიდებელი ოფიცრის ფუნქციები, გაწერილია ელექტრონული და მატერიალური არქივების უსაფრთხოების კონტროლი, ვიდეომონიტორინგის კანონიერი წარმოება და ინციდენტებზე რეაგირების საკანონმდებლო ვადები. სკოლას აუთსორსით აყვანილი ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტების - **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“**, **„შინაგანაწესის“**, **„განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის“**, **„თანამდებობრივი ინსტრუქციებისა“** და სხვა შესაბამისი აქტების საფუძველზე დგინდება, რომ შპს „შვეიცარიული აერთაშორისო სკოლა თბილისში“ ხელთ არსებული მატერიალური თუ ელექტრონული ინფორმაციის, პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალური დოკუმენტაციის უსაფრთხოება, შენახვა და მართვა სამართლებრივად და ინსტიტუციურად მოწესრიგებულია სკოლის ერთიანი შიდაორგანიზაციული მარეგულირებელი აქტებით. ვინაიდან სკოლა ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს, წარმოდგენილი დოკუმენტაცია განსაზღვრავს ავტორიზაციის შემდგომ ეტაპზე ასამოქმედებელ ინფორმაციის დაცვის მკაფიო და ქმედით მექანიზმებს:

- **ინფორმაციული უსაფრთხოების როლები (თანამდებობრივი ინსტრუქციები):** სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შინაგანაწესით მკაფიოდ არის გამიჯნული პერსონალის პასუხისმგებლობები ინფორმაციაზე წვდომის მიხედვით. ინფორმაციის დაცვის, დამუშავებისა და არქივირების უშუალო ფუნქცია-მოვალეობები დაკისრებული აქვთ კონკრეტულ უფლებამოსილ პირებს (საქმისმწარმოებელი, ადამიანური

რესურსების მენეჯერი, IT სპეციალისტი, დირექტორი). თითოეული თანამშრომლის ინსტრუქცია ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის მკაცრ დაცვას და არასანქცირებული გაცემის აკრძალვას.

- **მატერიალური ინფორმაციული ფონდის დაცვა და არქივირება:** სკოლის მატერიალური დოკუმენტაცია (მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები, განცხადებების/საჩივრების ჟურნალები, ბრძანებები და სხვა სამართლებრივი აქტები) დაცული იქნება ფიზიკური არასანქცირებული წვდომისგან. საქმისწარმოების წესისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტები შეინახება სკოლის არქივში, სპეციალურად გამოყოფილ, ჩაკეტილ კარადებში, სადაც წვდომა ექნება მხოლოდ უფლებამოსილ საქმისმწარმოებელს. პირადი საქმეების შენახვის ვადად განსაზღვრულია 75 წელი.
- **ელექტრონული მონაცემების უსაფრთხოება და წვდომის დიფერენცირება:** ციფრული და ელექტრონული ინფორმაციის დაცვის მიზნით, სკოლაში დაგეგმილია ინფორმაციის მართვის წამყვანი ელექტრონული პლატფორმების (Schoolbook.ge, Eschool.emis.ge) გამოყენება. აღნიშნულ ბაზებში წვდომა იქნება მკაცრად იერარქიული და დიფერენცირებული - მომხმარებლის უნიკალური სახელითა და პაროლით ბაზებზე წვდომა ექნებათ მხოლოდ კონკრეტულ პირებს (მაგალითად, HR ხედავს მხოლოდ პერსონალის მონაცემებს, მასწავლებელი - საკუთარ საგნობრივ ჟურნალს, ხოლო დირექტორი - სრულ სურათს). სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონული მონაცემები დაარქივდება და შეინახება დირექტორის კომპიუტერში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება კიბერუსაფრთხოების სათანადო დონე.
- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი კონტროლი:** სკოლის ხელთ არსებული პერსონალური ხასიათის ინფორმაციის კანონშესაბამის დამუშავებასა და დაცვას ზედამხედველობას გაუწევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ოფიცრის ფუნქციებში, თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით, შედის ფაილური სისტემების კატალოგების წარმოება, ინფორმაციის უსაფრთხოების რისკების შეფასება, კონსულტაციების გაწევა და ნებისმიერ საინფორმაციო ინციდენტზე ოპერატიული რეაგირება (არაუგვიანეს 72 საათისა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინფორმირება).
- **ვიდეოჩანაწერების დაცვის მექანიზმი:** უსაფრთხოების მიზნით საერთო სივრცეებში დამონტაჟებული ვიდეომონიტორინგის სისტემის მიერ გენერირებული ინფორმაცია (ვიდეოჩანაწერები) შეინახება დაცულ სერვერზე 30 კალენდარული დღის ვადით. ჩანაწერებზე წვდომის კონტროლსა და უსაფრთხოებაზე, სკოლის შიდა რეგულაციებითა და საკანონმდებლო საფუძვლით,

მოკლე დასკვნა: შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თანამდებობრივი ინსტრუქციები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და საქმისწარმოების წესები) დასტურდება სკოლის სრული სამართლებრივი და სტრუქტურული მზაობა მის ხელთ არსებული ინფორმაციის საიმედოდ დასაცავად. სკოლაში მკაფიოდ არის გამიჯნული პერსონალის პასუხისმგებლობები, დანერგილია მატერიალური და ელექტრონული არქივების ფიზიკური და ციფრული დაცვის მექანიზმები, განსაზღვრულია წვდომის იერარქიულობა და დაგეგმილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ ინფორმაციის უსაფრთხოების მუდმივი მონიტორინგი, რაც სრულად ამოქმედდება ავტორიზაციის მიღებისთანავე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკატორი პირველადი ავტორიზაციის პირობებში ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/აღდგენისა და შეწყვეტის წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- უსფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი);
- შინაგანაწესი;
- ხელშეკრულება - სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ N-EDU 1726-226;
- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;
- „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის“;
- „თანამდებობრივი ინსტრუქციები“.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ექსპერტთა მიერ დეტალურად გადამოწმდა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრისა და საჯარო რეესტრის მონაცემები. ასევე, დეტალურად შემოწმდა სკოლის მიერ წარმოდგენილი წინარე ხელშეკრულება შპს „ედუ მენეჯმენტთან“, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა აიღეს ვალდებულება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის უზრუნველყოფაზე.

აღნიშნული შეთანხმება უკვე შესრულებულია და სკოლას შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიეწოდა საჭირო ინვენტარი, მათ შორის:

- **სასკოლო მერხები და სკამები:** 160 მერხი და 220 სკამი (I-IV კლასებისთვის), აგრეთვე 90 მერხი და 189 სკამი (V-VI კლასებისთვის);
- **ადმინისტრაციული და საგაკვეთილო ავეჯი:** კარადები, მასწავლებლის სკამები და მაგიდები, ასევე სათათბირო ოთახის მაგიდა;
- **ჭკვიანი (სმარტ) დაფა:** 8 ცალი;

- **კომბაინი (პრინტერი/სკანერი):** 3 ცალი;
- **ლეპტოპი:** 52 ცალი;
- **კომპიუტერი:** 2 ცალი
- **სპეციალიზებული სივრცეების აღჭურვილობა:** სამედიცინო კაბინეტის მოწყობილობები, დამატებითი ავეჯი კაფეტერიისთვის, მუსიკის ოთახისთვის, ბიბლიოთეკისთვის, დერეფნებისა და სპორტული დარბაზისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნული წინარე ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეთა ვალდებულება, არაუგვიანეს **2026 წლის 1 სექტემბრისა** გააფორმონ ქვეიჯარის ძირითადი ხელშეკრულება. ქვეიჯარის საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება შემდეგი მახასიათებლებით:

  - **მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N30;
  - **საკადასტრო კოდი:** N 01.12.12.033.044;
  - **შენობა-ნაგებობის ფართი (N1 შენობიდან):** სარდაფი (იგივე -1 სართული) — საერთო ფართით **655.70 კვ.მ**, პირველი სართული — **704.50 კვ.მ** და მეორე სართული — **436.20 კვ.მ** (ჯამში შენობის ფართი შეადგენს **1796.40 კვ.მ-ს**);
  - **მიწის ნაკვეთი:** შენობის მიმდებარედ არსებული **510 კვ.მ** ფართობის მიწის ნაკვეთი (რომელიც გამოიყოფა ქვემეიჯარისათვის იჯარით გადაცემული 1397 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან; იჯარის ხელშეკრულება დამოწმებულია 30/03/2026, რეგისტრაციის N882026265682).
- **ქვეიჯარის ვადა და სტაბილურობა:** სკოლის ავტორიზაციის მიზნებიდან და საგანმანათლებლო პროცესის გრძელვადიანი სტაბილურობიდან გამომდინარე, ქვეიჯარის ძირითადი ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია **2026 წლის 1 სექტემბრიდან 2035 წლის 1 სექტემბრამდე** (9-წლიანი პერიოდი), რაც სრულად უზრუნველყოფს სკოლის მუშაობის უწყვეტობასა და მდგრადობას.
- **მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები:** საავტორიზაციო შეფასების მომენტისთვის სკოლის შენობაში მიმდინარეობს აქტიური სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე საკლასო ოთახები და ფუნქციური სივრცეები ფიზიკურად ჯერ არ არის საბოლოო სახით მოწყობილი, თუმცა სკოლას უკვე განსაზღვრული აქვს თითოეული სივრცის ზუსტი ზონირება, შესყიდული აქვს საჭირო ავეჯი და მატერიალური რესურსი, ხოლო სარემონტო სამუშაოების დასრულება და შენობის სრული ფუნქციური აღჭურვა დაგეგმილია უშუალოდ სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
- **სასწავლო პროცესის ორგანიზება:** სკოლაში სწავლება იგეგმება ერთცვლიან რეჟიმში. აღნიშნული მოდელი მყარად უზრუნველყოფს სწავლის ორგანიზებისთვის ხელსაყრელ პირობებს, სასკოლო დღის რაციონალურ განაწილებას, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ დღის განრიგსა და არაფორმალური განათლებისთვის საჭირო დროის ეფექტურ მართვას.
- **ფუნქციური სივრცეების განაწილება სართულების მიხედვით:** პროექტის თანახმად, სკოლის შენობის შიდა სივრცე ოპტიმალურად არის დაგეგმარებული და მოიცავს ყველა საჭირო ადმინისტრაციულ, სასწავლო, დამხმარე და რეკრეაციულ ზონას:
  - **პირველ სართულზე (704.5 კვ.მ)** მოეწყობა: 1 ადმინისტრაციის ოთახი, 1 რესურსოთახი (მოსწავლეთა მხარდაჭერისა და დამატებითი მუშაობისთვის), 1 ექიმის ოთახი (პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად), 4 საკლასო ოთახი და ესთეტიკურად გამართული კაფეტერია; კაფეტერიასთან დაკავშირებით სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ი/მ თინათინ ამირეჯიბთან კვების მიწოდების თაობაზე.
  - **სარდაფის სართულზე (-1 სართული, 655.7 კვ.მ)** განთავსდება: სპორტული დარბაზი (ფიზიკური აქტივობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის), მუსიკის ოთახი და მყუდრო მოსასვენებელი/რეკრეაციული სივრცე;

- **მეორე სართულზე (436.2 კვ.მ)** განთავსდება: 3 საკლასო ოთახი, თანამედროვე ციფრული ბიბლიოთეკა და სამასწავლებლო (პედაგოგთა სამუშაო და მოსასვენებელი სივრცე).

- **სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები:** სამივე სართულზე გათვალისწინებულია და მოეწყობა სრულად მოწესრიგებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სველი წერტილები, სადაც დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილი იქნება წყლის უწყვეტი მიწოდება.

მოკლე დასკვნა: წარმოდგენილი წინარე საიჯარო ხელშეკრულებით, შენობის ფაქტობრივი მახასიათებლებით, გრძელვადიანი ვადით (2035 წლამდე) და ფუნქციური სივრცეების (კლასები, სპორტული დარბაზი, ციფრული ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვ.) ოპტიმალური დაგეგმარების საფუძველზე დასტურდება, რომ შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ აქვს სრული მზაობა, რემონტის დასრულებისთანავე უზრუნველყოს უსაფრთხო, კომფორტული და ეფექტური სასწავლო პროცესი. ხელშეკრულების თანახმად რემონტის სრულად დასრულება დაგეგმილია 15 აგვისტომდე.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში აუცილებელი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური და სპორტული რესურსების თანაბარ და გამჭვირვალე ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. მართალია, სკოლა საავტორიზაციო ფაზაშია და შენობაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა მატერიალური რესურსების მართვის სამართლებრივი ჩარჩო სრულად არის მოწესრიგებული, ხოლო საჭირო ტექნიკური და სპორტული ინვენტარი უკვე შესყიდულია და მზად იქნება ექსპლუატაციისთვის სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე.

აღნიშნული კომპონენტის ორგანიზებისა და რეგლამენტირების რეალური მოცემულობა შემდეგია:

- **მატერიალური რესურსებით სარგებლობის სამართლებრივი მოწესრიგება:** სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის # 3-01/01/06-26 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვის“ (დანართი 8) წესით ოფიციალურად არის განსაზღვრული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსითა და სივრცეებით სარგებლობის კონკრეტული პირობები. დოკუმენტი ეფუძნება ხელმისაწვდომობის, თანასწორუფლებიანობისა და საინფორმაციო გამჭვირვალობის პრინციპებს.
- **საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური რესურსების მრავალფეროვნება:** სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია თანამედროვე ციფრული და საგანმანათლებლო რესურსების ფართო სპექტრი, მათ შორის: კომპიუტერები, პორტატული კომპიუტერები („Notebook“), პლანშეტები, პროექტორები, პრინტერები, სკანერები, თვალსაჩინოებები (მანიპულატივები, რუკები, გლობუსები), წიგნები და სხვა მასალები, რაც პირდაპირ უწყობს ხელს თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებას.
- **ციფრული ბიბლიოთეკა და ICT ტექნოლოგიები:** სკოლის ციფრული ბიბლიოთეკა წარმოადგენს მულტიფუნქციურ სივრცეს, რომლით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებსა და თანამშრომლებს სამუშაო დღეებში **08:45-დან 17:30 საათამდე**. ბიბლიოთეკა ახორციელებს მომსახურებას როგორც ადგილზე, ისე წიგნების ხელზე გატანით (რეგისტრირებული წესით). ბიბლიოთეკის სივრცეშივე განთავსებულია

კომპიუტერები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გაკვეთილებისა და კვლევითი სამუშაოებისთვის, სადაც მომხმარებლებს აქვთ წვდომა ინტერნეტზე, ელექტრონულ ფოსტაზე, სასწავლო პროგრამებსა და საბეჭდ/სასკანერო მოწყობილობებზე.

- **დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი:** სკოლის დახურული სპორტული დარბაზი და მისი ინფრასტრუქტურა თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ფიზიკური და ჯანსაღი განვითარების მიზნით. სკოლის მიერ უკვე შესყიდულია სპორტული აქტივობებისთვის საჭირო მრავალფეროვანი ინვენტარი, კერძოდ: სხვადასხვა სახის ბურთები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და შესაბამისი აღჭურვილობა, სავარჯიშო რგოლები, ფეხბურთისა და კალათბურთის ფარები, სახტუნაოები, კეგლები, ტანვარჯიშის ლეიბები, სამაშველო ჟილეტები, ჭადრაკები, ბადეები და საცოცი კედელი.
- **მონიტორინგი და მოვლის პასუხისმგებლობა:** რესურსების გრძელვადიანი და უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, წესი დეტალურად არეგულირებს ქცევის ნორმებს: იკრძალება ციფრული ფაილების თვითნებური წაშლა, ხარვეზების დამოუკიდებლად გასწორება, სათამაშოდ გამოყენება, საბიბლიოთეკო რესურსების დაზიანება ან გატანა ბიბლიოთეკართან რეგისტრაციის გარეშე. განსაზღვრულია მატერიალური პასუხისმგებლობა - მოსწავლის მხრიდან დაუდევრობით ან განზრახ გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურება ეკისრება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოკლე დასკვნა: შპს „შვეიცარიული საერთასორისო სკოლა თბილისში“ მიერ შემუშავებული სამართლებრივი რეგულაციები, საერთო სარგებლობის სივრცეების (ციფრული ბიბლიოთეკა, დახურული სპორტული დარბაზი) ფუნქციური გაწერა, ხელმისაწვდომობის მკაფიო საათები, ასევე მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური და სპორტული ინვენტარის არსებობა ადასტურებს სკოლის სრულ მზაობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მატერიალური რესურსების მაქსიმალური და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

შპს „შვეიცარიული სკოლა თბილისში“ საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობის, საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერისა და წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით, სრულად აქვს შემუშავებული შესაბამისი მარეგულირებელი ბაზა. ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით სკოლის მზაობა შემდეგია:

- **საბიბლიოთეკო სერვისების სამართლებრივი ჩარჩო:** სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“, რომელიც დეტალურად აწესრიგებს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსების (სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, ელექტრონული წიგნები და სხვ.) გამოყენებისა და სარგებლობის წესს.
- **მკითხველთა უფლება-მოვალეობები და სარგებლობის წესები:** დებულებით მკაფიოდ არის განსაზღვრული ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის თანამშრომლებისთვის. გაწერილია წიგნადი ფონდის გაცემისა და დაბრუნების ვადები, მკითხველთა პასუხისმგებლობა მასალების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ქცევისა და კონფიდენციალურობის წესები.
- **საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვა და მართვა:** წესის მიხედვით, ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია მასალების სისტემატური აღრიცხვის მექანიზმი - თითოეულ წიგნს ენიჭება საინვენტარო ნომერი, შესაბამისი ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი, რაც ხელს უწყობს ფონდის ეფექტურ კონტროლსა და დაცვას.

- **სერვისების ამოქმედების მზაობა:** სკოლა ამ ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს საბიბლიოთეკო სერვისების პრაქტიკულ მიწოდებას, თუმცა დოკუმენტური და ორგანიზაციული მზაობა სრულყოფილია. შესაბამისი სივრცე, რესურსები და გაწერილი პროცედურები სრულად ამოქმედდება და ხელმისაწვდომი გახდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე.

მოკლე დასკვნა: წარმოდგენილი „ბიბლიოთეკის მუშაობის წესით (დებულებით)“, მასში გაწერილი მკაფიო პროცედურებითა და აღრიცხვის მექანიზმებით დასტურდება სკოლის სრული ორგანიზაციული მზაობა საბიბლიოთეკო სერვისების ეფექტურად მისაწოდებლად.
სკოლის ციფრული ბიბლიოთეკა განთავსებული იქნება მე-2 სართულზე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

არსებული ვითარების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, სკოლის ბაზაზე სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ და ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთონ სოციალურ, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებასა და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას.
შეფასების პროცესში ასევე დადგინდა, რომ სკოლის პირველ სართულზე შენობაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შენობაში პირველადი ფიზიკური ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ამასთან, შეფასების განხორციელების დროისთვის შენობის ყველა სართულზე შეუფერხებელი გადაადგილებისა და ადაპტირებული სანიტარიულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და ასევე თანდართული დოკუმენტაციისა და რენდერების მიხედვით, მიმდინარეობს ლიფტის მონტაჟი, რომლის დასრულება ხელშეკრულების შესაბამისად დაგეგმილია **2026 წლის 1 სექტემბრამდე**. ამავე გეგმით გათვალისწინებულია **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობაც**, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის სრულყოფილად ჩამოყალიბებას.
მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება და განსაზღვრულია მათი დასრულების ვადები, შეფასების განხორციელების მომენტისთვის შენობის ყველა სართულზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრულად ხელმისაწვდომი გარემო ჯერ კიდევ არ იყო უზრუნველყოფილი. **რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების სრულყოფილად და დადგენილ ვადაში განხორციელება, მათ შორის ლიფტის მონტაჟისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის დასრულება, რათა შენობის ყველა სართულზე უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო, თანაბარი და შეუფერხებელი ფიზიკური ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის, მოქმედი კანონმდებლობისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.**
ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

შენობის ფაქტობრივი მდგომარეობის, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი რენდერების (პროექტის ვიზუალიზაცია) დათვალიერების შედეგებით დგინდება, რომ სკოლაში ფიზიკური გარემოს მოწყობა მიმართულია სკოლის, როგორც ერთიანი სოციო-კულტურული ცენტრის ფორმირებაზე.
სკოლის სივრცის არქიტექტურული გეგმის ანალიზითა და მატერიალური დათვალიერებით დასტურდება, რომ ინფრასტრუქტურა მოიცავს დამოუკიდებელი კონსტრუქციების სახით წარმოდგენილ, მრავალფუნქციურ სივრცეებს, რომლებიც პირდაპირ უზრუნველყოფს კულტურულ-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, „შპს შვეიცარიული სკოლა თბილისში“ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს და მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით უზრუნველყოფს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას.

სკოლის ტექნოლოგიური ბაზა, წარმოდგენილი ინვოისების თანახმად, მოიცავს შემდეგ რესურსებს:

- **კომპიუტერული ტექნიკა:** სკოლის საკუთრებაშია **52 ლეპტოპი** და **2 სტაციონარული კომპიუტერი**, რაც სრულად აკმაყოფილებს როგორც მოსწავლეთა, ისე პედაგოგებისა და ადმინისტრაციის საჭიროებებს.
- **მულტიმედიური და პერიფერიული მოწყობილობები:** სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვისთვის კლასები აღიჭურვება **ჭკვიანი დაფებით**, (8) ხოლო ადმინისტრაციული საქმისწარმოებისთვის უზრუნველყოფილია 3 **პრინტერ-სკანერები**.
- **ქსელური ინფრასტრუქტურა:** მთელი სკოლის მასშტაბით ხელმისაწვდომი იქნება გამართული **უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi)**, რაც აუცილებელია ციფრული რესურსების შეუფერხებელი გამოყენებისთვის.
- **საინფორმაციო სივრცე:** სკოლის ინფორმაციული ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია **ოფიციალური ვებგვერდი**, რომელიც ხელს უწყობს გამჭვირვალობას, გარე კომუნიკაციასა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურ მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ სკოლის დირექტორის 2026 წლის 1 ივნისის # 3-01/01/06-26 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების მართვის წესით” მკაცრად არის განსაზღვრული მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესები, უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს ტექნოლოგიების უსაფრთხო, ეფექტურ და თანასწორუფლებიან გამოყენებას. წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობისას მოსწავლეები და პერსონალი უფლებამოსილნი არიან:

- მოიძიონ, დაარედაქტირონ და შეინახონ საჭირო საგანმანათლებლო მასალები;
- იმუშაონ სპეციალურ სასწავლო პროგრამებსა და ელექტრონულ პლატფორმებზე;
- ისარგებლონ ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდით.

ტექნოლოგიების არამიზნობრივი ან დაუდევარი გამოყენების თავიდან ასაცილებლად, წესით მკაცრად იკრძალება კომპიუტერებში საოპერაციო ფაილების თვითნებური წაშლა, მოწყობილობების თამაშებისა და გართობისათვის გამოყენება, აგრეთვე ხარვეზების თვითნებური გასწორება. დადგენილია მატერიალური პასუხისმგებლობა - მოსწავლის დაუდევრობით ან განზრახი ქმედებით კომპიუტერის ან სხვა ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, ზარალის ანაზღაურება კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მიერ შემუშავებული სამართლებრივი რეგულაციებით, წინასწარ შესყიდული მრავალფეროვანი ტექნოლოგიური აღჭურვილობით (კომპიუტერები, პლანშეტები, პროექტორები და სხვ.) და ციფრულ ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერული სივრცის გამართვით დასტურდება სკოლის სრული მზაობა, უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი, უსაფრთხო და რეგლამენტირებული ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „მატერიალური რესურსების მართვის წესით”;
- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მმართველობითი საქმიანობის ეფექტურობის, დოკუმენტბრუნვის მოწესრიგებისა და არქივაციის ერთიანი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს საქართველოს კანონმდებლობასთან სრულად თავსებადი შიდა სამართლებრივი ბაზა. ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით სკოლის მზაობა შემდეგია:

- **საქმისწარმოების ერთიანი ჩარჩო:** სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შექმნის, გაფორმების, მოძრაობის, შესრულების კონტროლისა და შემდგომი შენახვისათვის. დოკუმენტი პირდაპირ ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებულ ნორმატიულ მოთხოვნებს.
- **კორესპონდენციის აღრიცხვა და ელექტრონული სისტემა:** წესის მიხედვით, სკოლაში შემუშავებულია შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის მკაფიო მექანიზმი. ყველა სახის ოფიციალური კორესპონდენცია რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, სადაც დოკუმენტს ენიჭება შესაბამისი ინდექსი, სარეგისტრაციო ნომერი და თარიღი.
- **სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებების წარმოება:** დეტალურად არის რეგლამენტირებული სკოლის დირექტორის ბრძანებების, ოქმებისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების, ნუმერაციისა და სისტემატიზაციის წესი, რაც გამორიცხავს დოკუმენტების დუბლირებას ან დაკარგვას.
- **საქმისწარმოების ამოქმედების მზაობა:** სკოლა ამ ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს ყოველდღიური სასწავლო-ადმინისტრაციული საქმისწარმოების პრაქტიკულ პროცესს, თუმცა შემუშავებული მარეგულირებელი წესები, ჟურნალების შაბლონები და მზაობა სრულყოფილია. საქმისწარმოების ერთიანი სისტემა პრაქტიკულად სრული დატვირთვით ამოქმედდება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე.

მოკლე დასკვნა: წარმოდგენილი „საქმისწარმოების წესითა“ და მასში გაწერილი სამართლებრივად უზადო პროცედურებით დასტურდება სკოლის სრული ორგანიზაციული და დოკუმენტური მზაობა კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების საწარმოებლად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ მმართველობითი და ორგანიზაციული პროცესების ოპტიმიზაციის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, გეგმავს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო დოკუმენტების ციფრულ ფორმატში წარმოებას, შენახვასა და კონტროლს.
ამ მიზნით, სკოლასა და შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსს“ (School Management Systems) შორის 2026 წლის 14 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება N DOC-14726-226 სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ხელშეკრულებით გარანტირებულია, რომ ლიცენზიის გამცემი პასუხისმგებელია სკოლის მიერ სისტემაში ატვირთული მონაცემების დაცვასა და უსაფრთხოებაზე. მონაცემები ინახება დაცულ და საიმედო სერვერზე. გამოყენებულია ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები, რომლებიც გამორიცხავს მონაცემთა უკანონო დამუშავებას, დაკარგვას, განადგურებას ან მესამე პირებისთვის უნებართვო გადაცემას. ავტორიზაციისთვის საჭირო მომხმარებლის სახელი და პაროლი მკაცრად კონფიდენციალურია.
„School MS“-ის პლატფორმა მოიცავს თანამედროვე დოკუმენტბრუნვისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს: შესაძლებელია დოკუმენტების კატეგორიზაცია და სხვადასხვა ფორმატის ფაილების (PDF, Docs, Excel, PPT, სურათები, აუდიო, ვიდეო) ატვირთვა. ფაილების გადამოწმება

შესაძლებელია ჩამოტვირთვის გარეშე, პირდაპირ სისტემაში ჩაშენებული DocumentViewer-ით. სკოლას შეუძლია სხვადასხვა მომხმარებელს ინდივიდუალურად განუსაზღვროს სისტემურ ფუნქციებზე წვდომა, ასევე მიანიჭოს კონკრეტულ დოკუმენტებზე წვდომისა თუ ჩამოტვირთვის უფლება გარკვეული ვადით ან უვადოდ. სისტემა ინახავს დოკუმენტის ძველ ვერსიებს და იძლევა მათი აღდგენის შესაძლებლობას. ამასთანავე, შესაძლებელია სრული აუდიტის ჩატარება - ზუსტად ჩანს, ვინ შექმნა, ნახა, დაარედაქტირა ან გააზიარა კონკრეტული ფაილი. სისტემის მთავარ გვერდზე (დეშბორდზე) ასახულია დოკუმენტების სტატისტიკა კატეგორიების მიხედვით და ინტეგრირებულია კალენდარი დაგეგმილი აქტივობებისთვის.
სკოლის თანამშრომელთა მიერ სისტემის ეფექტური ათვისების მიზნით, ხელშეკრულება ითვალისწინებს ლიცენზიის გამცემის მხრიდან პერსონალისა და სისტემის ადმინისტრატორის ტრენინგს. გარდა ამისა, პროვაიდერი უზრუნველყოფს სისტემის გამართული მუშაობისთვის საჭირო ინსტრუქციების გაცემას, მიმდინარე მხარდაჭერასა და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას.
მოკლე დასკვნა: ელექტრონული სისტემა „School MS“ სრულად პასუხობს თანამედროვე ტექნოლოგიური მართვის მოთხოვნებს. სისტემა უზრუნველყოფს შიდა საქმისწარმოების პროცესების გამჭვირვალობას, ინფორმაციის დაცულობას, მონაცემთა სწრაფ დამუშავებასა და ეფექტურ შიდა კომუნიკაციას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვინაიდან სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ (მაძიებელ) დაწესებულებას, რომელსაც ჯერ არ აქვს მიღებული ავტორიზაცია და ფაქტობრივად არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, მას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ ეტაპზე არ აქვს და ობიექტურად ვერ ექნება აქტიური, სრულყოფილი პროფილი. **შესაბამისად ინდიკატორი ვერ შეფასდება**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

პირველადი ავტორიზაციის გათვაისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

შპს „შვეიცარიული სკოლა თბილისში“ საზოგადოებასთან, მშობლებთან, მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ღია, გამჭვირვალე და ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, სრულად აქვს ოფიციალური საკომუნიკაციო არხები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ

ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს ყოველდღიური სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საჯარო გაზიარებას, დაწესებულების ციფრული ინფრასტრუქტურა და სამართლებრივი ჩარჩო სრულ მზადყოფნაშია და სრულფასოვნად ამუშავდება სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით სკოლის რეალური მოცემულობა შემდეგია:

სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით, კერძოდ, „საქმისწარმოების წესით“ ოფიციალურად განსაზღვრულია და რეგლამენტირებულია საზოგადოებასთან და გარე უწყებებთან ელექტრონული არხებით კომუნიკაციის წესი. დოკუმენტის თანახმად, სკოლას გააჩნია ოფიციალური ელექტრონული ფოსტა (info@sist.ge), რომელიც წარმოადგენს გარე კორესპონდენციის, განცხადებებისა და ოფიციალური მიმართვების მიღებისა და მათზე ოპერატიული რეაგირების ძირითად ციფრულ პლატფორმას. საქმისწარმოების წესი მკაცრად ადგენს აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტაციის დამუშავების, მათი სავალდებულო რეგისტრაციისა და ავტორებისთვის უკუკავშირის მიწოდების სამართლებრივ პროცედურებს.

ამასთანავე, საზოგადოების დროული და სრულფასოვანი ინფორმირების მიზნით, სკოლას შექმნილი და გამართული აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი და სხვა საკომუნიკაციო ციფრული არხები, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მისიის, სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და ორგანიზაციული მოწყობის შესახებ. წინასწარ გაწერილი შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, აღნიშნული პლატფორმების საშუალებით აქტიურად განხორციელდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეების, სასკოლო ღონისძიებების, გეგმებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება და საჯაროობა.

მოკლე დასკვნა: სკოლის მიერ ოფიციალური ვებ-გვერდის, სხვა საკომუნიკაციო არხებისა და საქმისწარმოების წესით რეგლამენტირებული ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (info@sist.ge) გამართვა ადასტურებს დაწესებულების სრულ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ მზაობას საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისა და გამჭვირვალე კომუნიკაციის განსახორციელებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ საზოგადოებასთან, მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას ეფუძნება ეთიკურობის, გამჭვირვალობისა და მაღალი პასუხისმგებლობის პრინციპებს. სკოლას წინასწარ აქვს განსაზღვრული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც კრძალავს გადაუმოწმებელი ან მცდარი მონაცემების გავრცელებას. მართალია, დაწესებულება ამ ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს ყოველდღიურ საგანმანათლებლო საქმიანობასა და მიმდინარე სასწავლო პროცესის საჯარო გაშუქებას, თუმცა დოკუმენტური მექანიზმები და ვალდებულებები სრულ მზადყოფნაშია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და გადის პირველად ავტორიზაციას. შესაბამისად **ინდიკატორი ვერ შეფასდება**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებგვერდზე (https://sist.ge/ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. დაწესებულების განმარტებით, მომავალში იგეგმება ინგლისურენოვანი ვებგვერდის შექმნაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდის (https://sist.ge/) შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ციფრული პლატფორმა არის სრულად ფუნქციური, საჯარო და მასზე განთავსებული დოკუმენტაციის მოცულობა და შინაარსი სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. პლატფორმა უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციების გამართულ შესრულებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სკოლა ახლადდაფუძნებულია და იმყოფება ავტორიზაციის პროცესში, წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ატვირთვა დაგეგმილია მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს (სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე), რაც სრულად თავსებადია ახლადდაფუძნებული დაწესებულების ოპერირების ლოგიკასთან. წინასწარ გაწერილი შიდა მექანიზმები უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, აღნიშნული პლატფორმების საშუალებით აქტიურად განხორციელდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეების, სასკოლო ღონისძიებების, გეგმებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება და საჯაროობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი;
- ელექტრონულ ფოსტა;
- სკოლის ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ფინანსური მდგრადობის, სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების მიღწევისა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს ეკონომიკურად დასაბუთებული და რეალისტური ფინანსური გეგმა. მართალია, სკოლა ამ ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს ყოველდღიური სასწავლო-ადმინისტრაციული პროცესების პრაქტიკულ ფინანსურ ექსპლუატაციას, თუმცა წარმოდგენილი 2026-2027 სასწავლო წლების საპროგნოზო ბიუჯეტი მყარად ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი რეალიზებისთვის საჭირო ყველა რესურსი. ინდიკატორის მოთხოვნებთან მიმართებით სკოლის ფინანსური მზაობა შემდეგია:

სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი გათვლილია 138 მოსწავლეზე. სკოლის სულ შემოსავლები მოიცავს როგორც უშუალოდ სკოლის ძირითად შემოსავალს, ისე სტანდარტსზემოთ მომსახურებიდან (წრეები) მისაღებ სახსრებს. ბიუჯეტში სრულად და დეტალურად არის გაწერილი ყველა ის საოპერაციო ხარჯი, რომელიც აუცილებელია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და სკოლის გამართული ფუნქციონირებისათვის.

კერძოდ, ფინანსურად მყარად არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა, რაც გამოიხატება მასწავლებლების შრომის ანაზღაურებაზე და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასებზე მიმართულ სახსრებში. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარებისთვის ბიუჯეტი ითვალისწინებს მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე სახელმძღვანელოებისა და აპლიკაციების შეძენას. სამოქმედო გეგმის მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა და მოსწავლეთა კეთილდღეობა დაზღვეულია იჯარის, კვებით უზრუნველყოფის, ცნობადობის ამაღლების და სხვა საოპერაციო ხარჯებით. ყველა ამ ხარჯის დაფარვის შემდეგ, გათვლილია სკოლის საპროგნოზო წმინდა მოგების თანხაც, რაც ქმნის მყარ ფინანსურ ბუფერს გაუთვალისწინებელი რისკების სამართავად და ადასტურებს ორგანიზაციის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას.

მოკლე დასკვნა: წარმოდგენილი 2026-2027 სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტით, შემოსავლებისა და ხარჯების მიზნობრივი, დაბალანსებული გაწერითა და დადებითი ფინანსური მარჟის არსებობით მყარად დასტურდება სკოლის სრული ფინანსური მზაობა და რესურსული უზრუნველყოფა სამოქმედო გეგმის წარმატებით განსახორციელებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

შპს „შვეიცარიული საერთაშორისო სკოლა თბილისში“ ფინანსური რესურსების ოპტიმალური და გამჭვირვალე მართვის უზრუნველყოფის მიზნით, სრულად აქვს ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ორგანიზაციული და სტრატეგიული ჩარჩო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე ჯერ არ ახორციელებს ყოველდღიური ფინანსური ნაკადებისა და საოპერაციო ბიუჯეტის პრაქტიკულ განკარგვას, დაწესებულებას წინასწარ აქვს შემუშავებული ფინანსური დაგეგმვის, ხარჯვისა და მონიტორინგის მყარი მექანიზმები, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების პერიოდულ ანალიზს, ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლების შედარებას და შესაძლო გადახრებზე დროულ რეაგირებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია, ოქმები;

- შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს ფუნდამენტური დოკუმენტები: შინაგანაწესი (დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით), წესდება და მოსწავლის ქცევის კოდექსი. ეს რეგულაციები ქმნის სამართლებრივ საფუძველს, რათა სასწავლო პროცესის დაწყებისას გარანტირებული იყოს მოსწავლის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა უსაფრთხო გარემოში

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შიდა რეგულაციები საჯაროა და ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე-sist.ge. სკოლა გეგმავს საინფორმაციო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, რათა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების დროული ინფორმირებულობა მათი უფლებებისა და ინტერესების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პირობები და მომსახურების სახეები. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სამართლებრივ გარანტს მოსწავლის ინტერესების დასაცავად და განსაზღვრავს სკოლის პასუხისმგებლობას ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)
- სკოლის შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით) რომელიც სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მოქმედ კანონქვემდებარე აქტებს. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურები, მობილობის განხორციელების ვადები და ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, როგორიცაა სტატუსის შეჩერება (მაგალითად, 90 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში სკოლის გაცდენისას) ან შეწყვეტა (სხვა სკოლაში გადასვლის ან საფეხურის დასრულების შემთხვევაში).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ადმინისტრაციული პროცესი (ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის ცვლილება) გაფორმდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით. სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის პირადი საქმის წარმოებას, სადაც დაცული იქნება აუცილებელი დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინფორმაცია შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლის საფასურის, შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის ქცევის კოდექსის შესახებ ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sist.ge) და სოციალურ ქსელებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ პროგრამების, საგანმანათლებლო სერვისების, სასწავლო და არასასწავლო აქტივობების, რესურსებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, სკოლის შიდა რეგულაციებსა და ეთიკურ ნორმებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი- **sist.ge**
- სოციალური ქსელები- https://www.facebook.com/SISTbilisi

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას გეგმავს გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს ახალი მოსწავლეების სასკოლო გარემოში ინტეგრირების პროცესს. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს მოსწავლისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნას, რათა მან ეფექტურად შეძლოს სკოლის კულტურისა და მოთხოვნების გათავისება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასწავლო პროცესის დაწყებამდე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების გაცნობით შეხვედრას არაფორმალურ გარემოში, სადაც მათ კლასის დამრიგებელი და სკოლის წარმომადგენლები შეხვდებიან. აღნიშნული შეხვედრა მიზნად ისახავს ახალ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობას, ურთიერთნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და სკოლის საქმიანობის გაცნობას.

სასწავლო წლის პირველი ორი კვირის განმავლობაში დაგეგმილი იქნება გასვლითი და სხვა გუნდური აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ერთმანეთის უკეთ გაცნობას, ეფექტური კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას, ასევე კლასში პოზიტიური და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში შეიქმნება მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც უშუალოდ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული; მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ პედაგოგებისგან სათანადო კონსულტაციები, რაც დაეხმარება მათ სასწავლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ მომსახურებას კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში. ეს მოიცავს ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაციის დროულ მომზადებასა და გაცემას მოსწავლის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა ხელს შეუწყობს სხვადასხვა კლუბების მუშაობასა და პროექტებს, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გამოავლინონ თავიანთი ინტერესები და ნიჭი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სხვადასხვა კლუბების განხორციელება, როგორიცაა STEM კლუბი; სამაგიდო თამაშების კლუბი; ხელვნებისა და დრამის კლუბი; სპორტული კლუბი და სხვ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ოფიციალური ვებგვერდი: **https://sist.ge**.
- სკოლის **Facebook** გვერდი.
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების უზრუნველყოფის ინდიკატორი ამ ეტაპზე არ შეფასდება. ამასთან, სკოლა სასწავლო პროცესსა და კლასგარეშე აქტივობებში ასაკის შესაბამისი აქტივობების მეშვეობით ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და თვითშემეცნების განვითარებას, რაც მომავალში პროფესიული თვითგამორკვევის საფუძვლის შექმნას ემსახურება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების უზრუნველყოფის ინდიკატორი ამ ეტაპზე არ შეფასდება.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით ინდიკატორი ვერ შეფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის #3-01/25/03-26 ბრძანებით. აღნიშნული წესი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების დროულ გამოვლენას, მათი განვითარებისა და სწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების — მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პედაგოგების, ფსიქოლოგისა და სკოლის ადმინისტრაციის — მჭიდრო თანამშრომლობასა და ჩართულობას. საჭიროების შემთხვევაში, შეიქმნება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და პერიოდულად განახორციელებს მის მონიტორინგსა და შეფასებას, რათა მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის წესი.
- შრომითი ხელშეკრულება სკოლასა და სპეციალური საგანმანათლებლო მასწავლებელთან (მოწვეული მასწავლებელი)

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა გეგმავს შესთავაზოს მოსწავლეებს სხვადასხვა დამატებით სერვისები, მათ შორის გახანგრძლივებული სწავლება, კვების მომსახურება (გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი 2026 წლის 10 ივლისს). აღნიშნული აქტივობები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების სრული დაცვით;
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დამატებითი სერვისების მიწოდება ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს და რეგულირდება სკოლის მართვის კოლეგიალურ ორგანოსთან შეთანხმებით. სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების სურვილს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ინდიკატორი არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი კვების ობიექტთან;
- მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით, ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების სრულფასოვან გათვალისწინებას. მეთოდოლოგია განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების ეტაპებს და მასში ჩართული მხარეების როლებს, რაც ხელს უწყობს დემოკრატიულ და მონაწილეობით პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ამ ეტაპზე შექმნილი სასწავლო კურიკულუმის პროექტში გათვალისწინებულია პოტენციური სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც გამოიხატება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით. დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის სპეციფიკურ კონტექსტს და მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც უპასუხებს მოსწავლეთა სამომავლო საჭიროებებსა და მშობელთა მოლოდინებს. ვინაიდან სკოლა ავტორიზაციის პროცესშია და ამ ეტაპზე მოსწავლეები და მშობლები ჯერ არ ირიცხებიან, სკოლა მზადაა სამომავლოდ, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით, იმუშაოს კურიკულუმის შემდგომ გაუმჯობესებასა და განვითარებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის პროექტი ამ ეტაპზე შემუშავებულია პედაგოგიური გუნდისა და ადმინისტრაციის მიერ. ვინაიდან სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებს და არ ჰყავს მოსწავლეები და კანონიერი წარმომადგენლები, უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის პროექტის მათთვის გაცნობა/გაზიარება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა. რაც დასტურდება სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცებულია # 3-01/25/03-26 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის კურიკულუმი, დამტკიცების შემდეგ, განთავსებული იქნება სკოლის ვებგვერდზე, ელექტრონულ ჟურნალში https://www.schoolbook.ge/ და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუზიარდება მშობლებს,

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი).
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი შინაარსი (დავალებები, შემოქმედებით პროდუქტები, აქტივობები) ასახავს სწავლის პროცესს, რომელიც განიხილავს ცოდნის კონსრუირებას მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმები ასევე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგემვასა და განვითარების გზას. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, მათ წარმოადგინეს სრული სახით გაწერილი და დამუშავებული კურიკულუმები და ასევე განაცხადეს, რომ შემდგომშიც კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებებს განახორციელებენ სასწავლო კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენiლი კურიკულუმის ჩარჩოები გვიქმნის წარმოდგენას, რომ მათ აქვთ მზაობა, შექმნან თითოეულ მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება და შუალედური მიზნების გათვალისწინება დაეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. პროექტული შინაარსის დავალებების

	საშუალებით, მოსწავლეებს მიცემათ შესაძლებლობა, კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ სწავლის კონსტრუირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ასევე, კურიკულუმებში ასახულია მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია შემოქმედებითი ხასიათის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სამიზნე ცნებების მითითებისას არ ჩანს კონკრეტულად რაზე იმუშავებს მასწავლებელი ან რა შედეგზე გავა, ამიტომ სასურველია თუ ეს საკითხი მოწესრიგდება. ვინაიდან, სკოლა ახლა იწყებს ფუნქციონირებას, კათედრა შეეცადა გაეთვალისწინებინა მომავალ მოსწავლეთა ზოგადი ინტერესები, შესაძლებლობები, ცოდნა, საჭიროებები, ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას, დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული თემისთვის შერჩეულია საკითხების ჯგუფი, საკითხებისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შუალედური მიზნებით-კომპლექსური დავალებებით ან პროექტებითაა შესაძლებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. იგი აგებულია იმგვარად, რომ მთავარი ფოკუსი გადატანილია მოსწავლის საჭიროებაზე, შესაძლებლობასა და ინტერესებზე, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან და ინკლუზიურ სწავლას. გამოყენებულია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ზრდის ჩართულობასა და მოტივაციას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური მომზადება და განვითარების ტემპი. გაწერილი თემები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია

	მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა, ორგანიზებასა, თვით კონტროლსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ტექნოლოგიების კურიკულუმის II - VI კლასის ჩარჩო - ცხრილები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კურიკულუმი მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები... კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული შინაარსი, შემოქმედებითი პროდუქტები, საკითხები, ქვეცნებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა მნიშნელოვანია მკაფიოდ ჩანდეს კორელაცია, თემას , საკითხსა და სამიზნე ცნებებს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი არის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული , ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად . წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება საგნობრივ სამიზნე ცნებებზე, მოიაზრებს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებას. წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეების/ძირითადი საკითხების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ მასალის სიღრმისეული გააზრება, მაღალი სააზროვნო უნარების აქტივირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, სამიზნე ცნებები,დასამუშავებელი საკითხები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ იგეგმება საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მუდმივად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ტიპის აქტივობაში, განუვითარდეთ მრავალმხრივი უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნებისკენ: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. თუმცა, თითოეული სამიზნე ცნება ჩასაშლელია ქვეცნებებად, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ სვლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გაითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს. დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, სწრაფი გადაწყვეტილება, ემპათია, გუნდურობა, პატივისცემა, ჰოლისტური განვითარება, ღირებულებების განვითარება, აქტიური და ჯანმრთელი მოქალაქის ჩამოყალიბებას. და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული თემების ფარგლებში მუშავდება ესგ-ს ყელა შედეგი და სამიზნე ცნება: პირობითი ნიშნები, პროგრამული კოდი (ალგორითმი), ინფორმაცია, ინტერნეტი, ციფრული მოქალაქეობა. კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ჩანს კათედრის მზაობა, აქტიურად გამოყენონ კვლევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით ექსპერიმენტული დავალებების შესასრულებლად აუცილებელი რესურსები, რომელიც სკოლას თავად გააჩნია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. ინტერნეტ-პლატფორმები, ჭკვიანი დაფა, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას აქვს შესაძლებლობა და მზაობა გამოიყენოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, შესაბამისად უზრუნველყოს მათ მიერ გაწერილ კურიკულუმში მოაზრებული შედეგების

	მიღწევა. უცხოურ ენებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმის ჩარჩოებში, ასახულია ძირითადიდა დამხმარე სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი რესურსი - როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ისე ციფრული და მატერიალური რესურსები, ვიდეო თუ აუდიო მასალა, რომლებიც უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის სასწავლო პროცესს და განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სკოლა ძირითადად აპირებს, რომ გამოიყენოს გრიფირებული სახელმძღვანელო, გარდა ამისა, დოკუმენტაციაში ასახულია, რომ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას კათედრა ხშირად გამოიყენებს ონლაინ-რესურსებსაც, რათა სწავლების პროცესი იყოს საინტერესო და ხელი შეუწყოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, ასევე, დამატებითი სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების ბმულები, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ცოდნის კონსტრუირებას და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გაითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, ექნებათ მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ. სკოლა პირობას დებს უზრუნველყოფს სათანადო ინვენტარს და რესურსებს. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჯანმრთელი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობას განვითარებას, განავითარებს ძირითადი ფიზიკურ უნარებისა და მოტორულ შესაძლებლობას, გაამყარებს გუნდური მუშაობის, თანამშრომლობისა და სამართლიანი თამაშის პრინციპებს. ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას, თვითდისციპლინასა და მიზანდასახულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის

	კონსტრუირებას უწყობს ხელს. ასევე უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების საგანში, კურიკულუმით განსაზღვრული, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი აქტივობები, რომლის გამოყენებასაც აპირებენ პედაგოგები, მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, შემუშავებულია ისგ. აღნიშნული სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც პროცესს გახდის ინკლუზიურს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში (“მე და საზოგადოება” და “ჩვენი საქართველო”) შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღწერილი მრავალფეროვანი აქტივობები იძლევა დიფერენცირების საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, სწავლა-სწავლების პროცესი იქნება ინკლუზიური. უცხოური ენის სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები . უცხოური ენების მასწავლებლები გაითვალისწინებენ მოსწავლეთა სწავლის სტილს, მზაობას,ინტერესს,შესაბამისად მოახდენენ როგორც დავალებების პირობის, ასევე აქტივობების მოდიფიცირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა გაითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, შექმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები,რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების, გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში დანერგილია ინკლუზიური მიდგომები, რომელთა მიზანია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა საჭიროებისამებრ შეიმუშაოს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმებიც. გარდა ამისა, კათედრა აქტიურად აპირებს მუშაობას დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით, მათ აქვთ შემუშავებული საინტერესო შემოქმედებითი დავალებები, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში მასწავლებლები გეგმავენ ისეთი რესურსების და მეთოდების გამოყენებას, რომლებიც მათ დაეხმარება, სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის აპირებენ დიფერენცირების სხვადასხვა ინსტრუმენტების, ასევე - მოდიფიცირებული დავალებების გამოყენებას. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ის ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ სკოლა სასწავლო პროცესში გაითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს კერძოდ: საგანმანათლებლო მიზნებს, სასწავლო აქტივობებს, შეფასების სისტემას, ინკლუზიური მიდგომას, პრაქტიკული მიმართულებას. აქტიურად მიიღებენ სპორტულ ღონისძიებებში და შეჯიბრებებში მონაწილეობას.. როგორს ფორმალურ ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნია ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის

	გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესს და აქტივობებს გეგმავენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების საგანში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ერონულს სასწავლო გეგმასთან მიმართებით აფასებს და ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს. ამგვარად, იგი სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებთან და მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ მოწოდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ერთი თემის ფარგლებში გაწერილ შუალედურ მიზნებზე, ასევე ზოგადი რუბრიკები. ნათლად ჩანს, უცხოური ენების კათედრას აქვს მზაობა , განახორციელოს შეფასება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება მოხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.კათედრამ წარმოადგინა დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა აპირებს გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, კათედრამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასების სისტემის დანერგვის თვალსაზრისით, აპირებენ, რომ გამოიყენონ სოლო ტაქსონომიიის პრინციპები მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებისთვის, რაც შემდგომში დაეხმარებათ მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვაში. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრამ წარმოადგინა რამდენიმე რუბრიკა, მაგრამ ისინი ძირითადად აგებულია ზოგადი ხასიათის კრიტერიუმებით, აფასებს არა კონკრეტულ, არამედ ზოგადი ტიპის აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების ცხრილები, სოლო ტაქსონომიით შეფასების ნიმუშები, თუმცა ეს შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა კონტექსტის მიხედვით (გამონაკლისების გარდა). მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. ფიზიკ. აღზრდასა და სპორტის სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მეთოდებს, სტრატეგიები და აქტივობები სრულადნ შეესაბამება თანამედროვე პედაგოგიურ მოთხოვნებს და ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და განვითარებას კერძოდ: სწავლების მეთოდების, აქტივობებს, ინკლუზიური მიდგომა, უსაფრთხოების ნორმების, მოტივაციის ამაღლებას, შეფასება და უკუკავშირის. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებელი აქტუალურად მიმართავენ სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. პედაგოგები ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლონ დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შუალედური მიზნებისთვის
- განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი პროდუქტები, უზრუნველყოფს მოსწავლეთა იმ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, რომელიც აუცილებელია ბუნებისმეტყველების საგნის სწავლებისას. გასაუბრების დროს იკვეთება, რომ კათედრის თითოეულ წევრს სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად წარმოუდგენია, რისი მზაობაც კათედრის თითოეულ წევრს აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულ კურიკულუმებში, სასწალო პროცესი წარიმართება მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, წარმოადგინეს სრული სახით გაწერილი და დამუშავებული ორი საგნის -კერძოდ: "მე და საზოგადოების და საგან " ჩვენი საქართველოს" კურიკულუმები და ასევე განაცხადეს, რომ შემდგომშიც კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებებს განახორციელებენ სასწავლო კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც შემოთავაზებული შუალედური მიზნები, თემები/ქვეთემები, ძირითადი საკითხები , ძირითადი და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები პირველი და მეორე უცხოური ენების გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ პედაგოგებთან ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო მიზნების, რესურსების, შემოქმედებითი ტიპის დავალებების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლება იგეგმება წინასწარ მომზადებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო პროცესი ისეა აგებული, რომ ორიენტირებული იყოს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, რასაც ხელს უწყობს

	სამიზნე ცნებების გააზრება ამა თუ იმ შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა ისაუბრეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე, რის დასტურადაც კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ გეგმავენ და განახორციელებენ აქტივობებს და გამოიყენებენ მეთოდებს, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და განახორციელებენ სასკოლო კურიკულუმის სრული შესაბამისობით. დაგეგმვა ეფუძნება განსაზღვრულ მიზნებს, სტანდარტებსა და შედეგებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრობასა და ეფექტიანობას. კერძოდ: სასწავლო მიზნები და ამოცანები მკაფიოდ არის გაწერილი და შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გამოყენებული აქტივობები და მეთოდები შერჩეულია კურიკულუმის მიზნებითან შესაბამისობაში. შეფასების სისტემა ასახავს კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს. დაცულია თანმიმდევრობა და ლოგიკური განვითარება კლასიდან კლასამდე. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება სავალდებულო თემებზე, ქვესაკითხებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები. სასწავლო პროექტები - ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების აღმოჩენასა და განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სასწავლო პროცესის მოდელი და კურიკულუმის სტრუქტურა წინასწარვე იმგვარად არის დაპროექტებული, რომ სამომავლოდ მასწავლებლებს ჰქონდეთ სრული შესაძლებლობა, შემხვედრი საჭიროებების შესაბამისად, მყისიერი ცვლილებები და დამატებები შეიტანონ მიმდინარე სასწავლო პროცესში. ეს დაგეგმილი მოქნილობა მიზნად ისახავს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნასა და სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები არის ობიექტური, ასახავს და აფასებს სწორად მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, უნარებს. რუბრიკები არის გამჭვირვალე და გაზიარებული და ხელმისაწვდომი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის, როგორც მოსწავლეებითვის, ასევე მშობლებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და რა თქმა უნდა მოსწავლეთათვის ცნობილია, თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების სისტემები არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი (საგანი-"ჩვენი საქართველო"), ხოლო რაც შეეხება საგან- "მე და საზოგადოებისთვის" წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე ხაზს უსმევს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და იძლევა მოტივაციისა და განვითარების უკეთ შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილია განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული საკითხებისათვის . შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები წინასწარ გააცნობენ მოსწავლეებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით , უცხოური ენების მიერ განხორციელებული შეფასებები არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება მოხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. გამოიყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე

	განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ესგ მიზნებს, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა აპირებს, რომ გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა ტიპის დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომლებშიც გაწერილი კრიტერიუმები ძირითადად ზოგადი ხასიათისაა. კათედრას აქვს იმის რესურსი, რომ მოამზადოს და პრაქტიკაში გამოიყენოს შეფასების ისეთი რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები გაწერილი იქნება შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორების გათვალისწინებით. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი ეფექტური შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში გამოკვეთილია შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების ნიმუშები მრავალფეროვანია. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიც, თუმცა მათ აკლიათ მკაფიოობა და თემის შეფასების ესგ-თი განსაზღვრულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სწორად და სრულყოფილად შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებზე კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. სკოლას აქტუალურად გამოიყენებს სიტყვიერ შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამის დასტურია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, ასევე კომპლექსური ბუნების დავალებების შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით შექმნილი და შევსებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოქმედებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (პროექტი-დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით), რომელიც განხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების, კერძოდ, ადმინისტრაციისა და საგნობრივი კათედრების მონაწილეობით. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას და სკოლის მიერ დადგენილი შეფასების პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება ყველა ტიპის მონაცემის, ინფორმაციისა თუ მტკიცებულების სათანადო აღრიცხვა და მათ შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი);
- შეფასების ვერიფიკაციის წესი

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა ძირითად რესურსად გამოიყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე კურიკულუმში წარმდგენილია დამატებითი რესურსები, გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები გამოიყენებენ იმგვარ რესურსებ, რაც გულისხმობს ლაბორატორიული სამუშაოებისთვის აუცილებელ ინვენტარს, მულაჟებს და ა.შ. რაც უზრუნველყოფს მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: ჭკვიანი დაფა, რუკები, ცხრილები, ფლივჩარტები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურით და ვიდეო ფილმებით. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ რესურსებს. გასაუბრებისას მასწავლებელმა ასევე აღნიშნა, რომ ატარებენ გასვლით გაკვეთილებს ბუნებაში, მუზეუმებში , აწყობენ საინტერესო შეხვედრებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება თვალსაწიერის გაფართოებაში და მასალის უკეთ აღქმასა და დამუშავებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, უცხოური ენების მიერ შერჩეული ძირითადი და დამხმარე რესურსები მიზნობრივად, ეფექტიანად იქნება გამოიყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.კათედრას ცალკე დოკუმენტად აქვს ასევე წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულები, ასევე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიურობასა და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისას კათედრა აპირებს გამოიყენოს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე სხვა, მრავალფეროვანი დამხმარე მატერიალური თუ ელექტრო რესურსები, რაც ხელს შეუწყობს ამა თუ იმ საკითხის სიღრმისეულად გააზრებასა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას. პედაგოგები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად გეგმავენ რესურსების ადაპტაციასაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	მათემატიკის კათედრა გეგმავს კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებას, სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე, დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული (ბმულებითაა ჩაშენებული) კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართულნი იქნებიან ისეთ აქტივობებში, რომლებშიც ისინი შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იქნებიან ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების ბანკი - ელექტრონული რესურსი school.emis.ge, scratch.mit.edu, code.or, Learningapps.org, Tinkercad.com, Microsoft Sway ... ასევე სხვა ვიდეო რესურსი, რომელიც შეესაბამება შესასწავლ საკითხის, მიზანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა თავად უზრუნველყოფს კათედრის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსები ემსახურება კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას, უზრუნველყოფილია მათი ვალიდურობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას,ყველა დამხმარე რესურსი შეესაბამება სასწავლო თემებს/საკითხებს და ესგ მიზნებს მიემართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესის საინტერესოდ, ხარისხიანად, ეფექტიანად, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვის მიზნით სკოლა გეგმავს, რომ გამოიყენოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით, ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ სახელმწიფო ენის სწავლებისას გამოსაყენებელი დამხმარე რესურსების შესაბამისობას ადგენს კათედრა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რაც აისახება კიდეც საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმები, საიდანაც ჩანს, რომ ყველა დამხმარე რესურსი შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ საკითხს. ჩაშენებული ბმულები რელევანტურია. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ ყველა დამხმარე რესურსი შერჩეულია დაკვირვებით და ვალიდირებულია მათ მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა მზაობა გამოთქვა უზრუნველყოს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ნიშნავს ,რომ გამოყენებული მასალები წინასწარ იქნება შერჩეული, შემოწმებული და შესაბამისობაში როგორც სასკოლო კურიკულუმებთან, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესი დაეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მათზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე

	დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბუნებისმეტყველების კათედრაზე არსებული მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომი იქნება ყველა მოსწავლისთვის, აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, ჭკვიანი დაფა,

	პროექტორები, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრას აქვს შესაძლებლობა, მზაობა გამოიყენოს ის მატერიალური რესურსები, რომელიც განსაზღვრულია კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების სრულყოფილად მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს შესაბამისი მატერიალური/არამატერიალური რესურსით. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სწავლა-სწავლების შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც მატერიალური რესურსების (გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური პოსტერები, ყველა კლასისთვის განკუთვნილი საკლასო სივრცეები, პროექტორები, კომპიუტერული ლაბორატორია და ა.შ.), ისე კათედრის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში შერჩეული ელექტრონული რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა გამოიყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს. ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს და სახალისოს ქმნის და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებას და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით და სრულად გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობა. სასწავლო პროცესის დასაწყისში სასწავლო გარემო აღჭურვილი იქნება საჭირო სპორტული ინვენტარითა და ინფრასტრუქტურით, რაც იძლევა შესაძლებლობას თითოეულ მოსწავლეს აქტიურად და უსაფრთხოდ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ასევე სკოლა აპირებს აქტიურად მიმართოს პროექტულ სწავლებას . ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ სპორტულ ფესტივალებში, მოძრავ თამაშებში, სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდებს (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე, რესურსებს,,პრეზენტაციებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით (3 მოწვეული და 14 სტატუსიანი მასწავლებელი) რაც აუცილებელი პირობაა სასკოლო კურიკულუმის ეფექტური განხორციელებისთვის. თითოეულ საგანს ასწავლის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგი, რომლის კომპეტენცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 25 მარტის # 3-01/25/03-26 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს კადრების შერჩევის, მიღებისა და მათი პროფესიული განვითარების გამჭვირვალე პროცედურებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი
- სასკოლო კურიკულუმი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საგაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.**

აღნიშნული პროცესი განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სისტემურ შეგროვებას კურიკულუმის შემდგომი განვითარებისთვის. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, სწავლებისა და სწავლის ხარისხი მუდმივად იყოს კონტროლის ქვეშ და შეესაბამებოდეს დასახულ სტანდარტებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი გამოწვევების ანალიზი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, დაადგინოს პრობლემის გადაჭრის კონკრეტული გზები. შეფასებისას მიღებული მონაცემები გამოიყენოს გაუმჯობესების გეგმის შესადგენად, სადაც გაიწერება ის შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხარისხის ამაღლებასა და კურიკულუმის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლა აცნობიერებს რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები სკოლისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საფუძველს რომ გაუმჯობესდეს სწავლისა და სწავლების ხარისხი და შეიქმნას ხელშემწყობი გარემო როგორც პედაგოგებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის და შემუსავებული აქვს შესაბამისი მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი).
- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენებს მრავალფეროვან ინფორმაციულ წყაროებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ობიექტურობას. შეფასების პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, გაკვეთილებზე დაკვირვების მონაცემები, მასწავლებელთა თვითშეფასება, მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების უკუკავშირი, ასევე სამუშაო შეხვედრებისა და პროფესიული განხილვების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებისას გაითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების ხარისხზე. შეფასებისას ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, კლასის სპეციფიკას, სასწავლო გარემოს, კურიკულუმის განხორციელების პროცესსა და სხვა გარემო ფაქტორებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და სიღრმისეულ ანალიზს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლა მონაცემების შესაგროვებლად გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის: გაკვეთილებზე დაკვირვებას, აკადემიური შედეგების ანალიზს, კითხვარებს, ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფებს, სამუშაო შეხვედრებსა და დოკუმენტაციის ანალიზს. სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ვალიდურობასა და სანდოობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა გაითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებები, სწავლების მეთოდების ეფექტიანობა, სასწავლო გარემო, რესურსების ხელმისაწვდომობა და კურიკულუმის განხორციელების ხარისხი. აღნიშნული ფაქტორების ერთობლივი ანალიზი საფუძვლად დაედება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი).
- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლა დანერგავს კურიკულუმის განვითარების უწყვეტ მექანიზმს, რომლის ფარგლებში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები სისტემატურად გაანალიზდება. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელშიც აისახება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებები, რეკომენდაციები და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა კურიკულუმის პერიოდული გადახედვისა და განახლების პროცესს განახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. კურიკულუმის გადამუშავებისას გათვალისწინებული იქნება მისი განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილება, გამოვლენილი საჭიროებები, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი).
- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 27.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ქეთევან ბოტკოველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნინო წერეთელი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ხატია კაჭარავა -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ინგა ხავთასი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სოფიო მგალობლიშვილი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ნანა ჩილინგარაშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნანა ჩავლეიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჯახველაძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია დადვანი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭანტურიძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი